პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 137 (10531) | ხუთშაბათი, 14 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი უბანი

კომუნისტური პარტია მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს თავისი რიგების ზრდას და შემადგენლობის გაუმჯობესებას. სკკპ წესდება მოითხოვს, რომ პარტიის წევრად მიღება ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური წესით, რომ პარტიაში მიღებულ იქნან მხოლოდ შემოწმებული, აქტიური, კომუნიზმის საქმის ერთგული მუშები, გლეხები, ინტელიგენტები. ვიდრე თავის რიგებში მიიღებდეს, პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია კარგად შეისწავლოს ესა თუ ის ამხანაგი და ღრმად დარწმუნებული იყოს, რომ იგი ღირსია კომუნისტური პარტიის წევრის მაღალი წოდებისა.

რესპუბლიკის ბევრი პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ იცავს წესდების ამ მოთხოვნებს, სერიოზულად მუშაობს პარტიის რიგების ზრდისა და მისი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს უპარტიო აქტივთან მუშაობას, ღრმად სწავლობს პარტიაში შემსვლელთა საქმიან და პოლიტიკურ თვისებებს, აბამს მათ საზოგადოებრივ საქმიანობაში, პარტიის რიგებს ზრდის მუშების, განსაკუთრებით წამყვანი პროფესიის მუშების, და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების მიღებით. უკანასკნელ ხანებში აქ პარტიაში მიიღეს შახტის მოწინავე ადამიანები, ქვანახშირის მონგრევის ოსტატები ი. ლაფერაძე, კ. აბესაძე, ვ. ბარანოვი, მებიგე რ. აბესაძე, გამყვანი ა. ბართაია და სხვები, რომლებმაც პატრიოტული შრომით და საზოგადოებრივი საქმისადმი ერთგულებით საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ივიწყებს თავისი რიგების შევსების საჭიროებას, არ მუშაობს უპარტიო აქტივთან, ნაკლებ დახმარებას უწევს მას პარტიაში შესვლისათვის მომზადებაში. ასეა, მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონის კირცხის მიქოიანის, ჭოღის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც წელს არც ერთი კაცი არ მიუღიათ პარტიის რიგებში. შეუწყნარებელი და პარტიის საქმისათვის დიდად საზიანოა ისეთი შემთხვევები, როცა პარტიაში მიღებისას მტკიცედ არ იცავენ ინდივიდუალური შერჩევის ლენინურ პრინციპს, გულდასმით არ სწავლობენ მისაღებთა საქმიან და პოლიტიკურ თვისებებს, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან რეკომენდაციის გაცემას. ყოველივე ეს პარტიაში მოხვედრის საშუალებას აძლევს შემთხვევითს, პარტიისათვის უცხო, შეუფერებელ პირებს.

პარტიის ძალისა და ძლიერების წყარო არა მარტო მისი დიდი რიცხობრივი შემადგენლობა, არამედ აგრეთვე მისი ხარისხი, პარტიის წევრების მაღალი თვისებები, სიმტკიცე, მოქმედების ერთიანობა და ხალხის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება. არაფერია იმაზე მაღალი და საამაყო, ვიდრე ეკუთვნოდე კომუნისტურ პარტიას, რომელიც დიდმა ლენინმა შექმნა და რომელმაც ხალხისადმი თავისი ერთგული სამსახურით უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა არა მარტო ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში.

საბჭოთა ადამიანები, მთელი მსოფლიოს მშრომელები კომუნისტური პარტიის წევრებში ხედავენ ახალი საზოგადოების ყველაზე ერთგულ და მტკიცე მშენებლებს, ხალხის ინტერესებისათვის უშიშარ და თავდადებულ მებრძოლებს. მაღლა გვეჭიროს სოციალისტური სახელმწიფოს მმართველი პარტიის წევრის დიდი სახელი და წმიდად ვიცავდეთ მას — აქეთკენ მოგვიწოდებდა გენიალური ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ახალი, გრანდიოზული ამოცანების ვითარებაში პარტია უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს თავის წევრებს, ზრდის მათს პასუხისმგებლობას პარტიის საქმისათვის. საჭიროა სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის შემადგენლობა, დავიცვათ მისი რიგების სიწმინდე, ავამაღლოთ პარტიის წევრების შეგნებულობის დონე, უზრუნველვყოთ პარტიის რიგების შევსება შემოწმებული, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული, პოლიტიკურად შეგნებული და მტკიცე დისციპლინის მქონე ადამიანებისაგან. ამ მიზნით არის დადგენილი წესი, რომლის მიხედვით ყველა პირი, ვისაც სურს პარტიაში შესვლა, გადის საკანდიდატო სტაჟს ერთი წლის ვადით. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ კანდიდატებმა შეისწავლონ პარტიის პროგრამა, წესდება, ტაქტიკა, ხოლო პარტორგანიზაციამ გაიცნოს კანდიდატი, პრაქტიკულ საქმიანობაში შეამოწმოს მისი პირადი თვისებები.

საკანდიდატო სტაჟი პარტიაში შემსვლელთათვის სერიოზული გამოცდა და პოლიტიკური გამოწრთობის სკოლაა. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ისე უნდა მოაწყოს მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტებთან, რომ ისინი აღიჭურვონ იმ მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით, რომელსაც კომუნისტური პარტიის წევრობა აკისრებს, ჩაბმულ იქნან აქტიურ პარტიულ მუშაობაში, გახდნენ პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დაუღალავი მებრძოლნი და მაგალითის მაჩვენებელნი შრომაში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დაცვაში. ისინი უნდა აღიზარდონ ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, უნდა გამოუმუშავდეთ მასებში პოლიტიკური მუშაობის ჩვევები. სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი პარტიული ორგანიზაცია ივიწყებს ამ მოთხოვნებს. რკინიგზის ბათუმის სატვირთო სადგურის პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის ხუთი კანდიდატია, მაგრამ მათთან არავინ არ მუშაობს. ახალგაზრდა კომუნისტებთან არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბათუმის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში 40 სტაჟგადაცილებული კანდიდატი ირიცხება. პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში სტაჟგადაცილებული კანდიდატების არსებობა იმის მაჩვენებელია, რომ იქ სათანადო დონეზე არ დგას შინაპარტიული მუშაობა.

პარტიის წევრობის კანდიდატებთან და საერთოდ ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის გაძლიერება პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა. პირველ რიგში საჭიროა ავამაღლოთ თვით კანდიდატების პასუხისმგებლობა საკანდიდატო სტაჟის გავლისათვის. სკკპ წესდება თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს სისტემატურად იმუშაოს კანდიდატებთან და პარტიის წევრად შესვლისათვის მომზადებაში დაეხმაროს მათ, გამოუმუშაოს მათ კომუნიზმისათვის მოწინავე მებრძოლის ძვირფასი თვისებები.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ პარტიის წევრობის კანდიდატებთან, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა წარმოებდეს ყოველდღიურად, კანდიდატებთან მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ორგანიზაციებში, სადაც არიან სტაჟგადაცილებული ამხანაგები. საჭიროა პარტიის წევრობის კანდიდატები, ახალგაზრდა კომუნისტები უფრო აქტიურად ჩავაბათ პარტიულ ცხოვრებაში, გამოვიჩინოთ ნამდვილი ზრუნვა მათი პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლებისათვის.

განუხრელად გააძლიერებენ რა მთელ შინაპარტიულ მუშაობას, პარტიული ორგანიზაციები შემდგომ გააუმჯობესებენ პარტიის წევრებისა და კანდიდატების აღზრდის, მათი პოლიტიკური გამოწრთობის საქმეს, კიდევ უფრო აამაღლებენ თავიანთ ბრძოლისუნარიანობას და უზრუნველყოფენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებას.

საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა მოლაპარაკება იემენის მემკვიდრე პრინცთან, პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრთან ემირ სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრთან

13 ივნისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მ. გ. პერვუხინისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის მოლაპარაკება იემენის მემკვიდრე პრინცთან, პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრთან ემირ სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრთან.

მოლაპარაკებას, რომელიც მეგობრულ და გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა, დაესწრნენ: იემენის მხრივ — იემენის ფინანსთა მინისტრი ელ-ყადი აბდურაჰმან ელ-საიალი, იემენის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და სახელმწიფო მინისტრი ელ-ყადი მოჰამედ ელ-ამრი, იემენის მთავრობის პოლიტიკური მრჩეველი დოქტორი ჰასან ბაღდადი; საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე გ. ტ. ზაიცევი.

ი. ბროზ ტიტოს, ნ. ს. ხრუშჩოვისა და ა. ი. მიქოიანის მოგზაურობა საბჭოთა ქვეყანაში

12 ივნისს სალსკის ათასობით მშრომელი შეიკრიბა ვაგზლის მოედანზე, რათა შეხვედროდნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს იოსიპ ბროზ ტიტოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიქოიანს და მათს თანმხლებ პირებს.

სპეციალური მატარებელი მიადგა ბაქანს. ვაგონების კარებში გამოჩნდნენ ამხანაგები იოსიპ ბროზ ტიტო, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი. გაისმის ერთსულოვანი მისალმებანი. სტუმრებს ხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. ვ. კისელიოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სალსკის რაიკომის მდივანი ვ. ნ. ზავიალოვი, სალსკის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ი. ე. კოლესნიკოვი და სხვა ადგილობრივი მოღვაწეები.

ძველებური რუსული ჩვეულების მიხედვით მშრომელთა წარმომადგენლებმა ამხანაგებს ტიტოსა და ხრუშჩოვს მიართვეს პურმარილი.

შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს იოსიპ ბროზ ტიტომ, ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. ი. მიქოიანმა.

დონის კოლმეურნე გლეხობის სახელით, რომელიც ძველთაგანვე ზრდის დონის განთქმულ ცხენებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. ვ. კისელიოვმა ამხანაგ ტიტოს უძღვნა ბუდიონის სახელობის ცხენსაშენში გამოზრდილი საუკეთესო ცხენი.

ყველა სადგურზე, სადაც შემდეგ ჩერდებოდა სპეციალური მატარებელი, რომლითაც მგზავრობენ იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეები, მათ მხურვალედ ხვდებოდა ათასობით საბჭოთა მოქალაქე.

სადგურ ეიაში მატარებლის შესახვედრად გამოსულმა კოლმეურნე და რკინიგზელმა ქალებმა სთხოვეს იოსიპ ბროზ ტიტოს მეუღლეს იოვანკა ბროზს გადასცეს სალამი იუგოსლავ ქალებს.

იოვანკა ბროზმა შეკრებილთ მიმართა სიტყვით, რომელიც სერბული ენიდან თარგმნა იოსიპ ბროზ ტიტომ. პასუხად გაისმა მქუხარე ტაში და მისალმების შეძახილები საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურღვევი მეგობრობის აღსანიშნავად.

13 საათსა და 45 წუთზე მატარებელი მიადგა სადგურ კავკასკაიას ბაქანს, სადაც თავი მოეყარა ქალაქ კროპოტკინისა და ახლომახლო კაზაკთა სტანიცების მრავალ ათას მცხოვრებს. იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეებს ხვდებიან ორი მეზობელი მხარის — კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების პარტიული, საბჭოთა ხელმძღვანელები და საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელნი.

საპატიო სტუმრებთან მიირბინეს ქალაქ კროპოტკინის პიონერებმა, გადასცეს ყვავილთა თაიგულები და გაუკეთეს პიონერთა ალისფერი ყელსახვევები. შეკრებილებმა გაცილებისას ბედნიერი მოგზაურობა უსურვეს ძვირფას სტუმრებს, რომლებიც ავტომანქანებით წავიდნენ სტანიცა გრიგოროპოლისკაიაში. აქ მდებარეობს ერთ-ერთი უდიდესი, ჩვენს ქვეყანაში განთქმული მეურნეობა — სტავროპოლის მხარის ნოვო-ალექსანდროვსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. გზაში სტუმრები არაერთხელ გაჩერდნენ, რათა დაეთვალიერებინათ პურის შესანიშნავი მასივები, გულითადად ესაუბრნათ კოლმეურნეებთან.

სტავროპოლის მხარე სასურველ სტუმრებს ეგებება სიტყვებით: „დობრო დოშლი, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

ტყეში კოლმეურნეობის მწვანე თეატრთან სტანიცა გრიგოროპოლისკაიას მოსწავლეები ყვავილებს ესვრიან სტუმრებს.

არტელის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ფ. ლისკინმა, რომელიც შარშან შემოდგომაზე როგორც საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაციის წევრი იყო იუგოსლავიაში, გახსნა მიტინგი. კოლმეურნეობის 2.700 წევრის სახელით იგი გულითადი მისალმების სიტყვებით მიმართავს სტუმრებს.

კოლმეურნეებს სიტყვებით მიმართეს იოსიპ ბროზ ტიტომ, ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. ი. მიქოიანმა, რომლებსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

კოლმეურნეებმა სიამაყით უჩვენეს სტუმრებს თავიანთი მდიდარი მრავალდარგოვანი მეურნეობა.

მესამე კომპლექსური ბრიგადის საველე ბანაკში სტუმრებისათვის კოლმეურნეებმა მოამზადეს სადილი. სადილის დროს, რომელმაც მეტად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, წარმოითქვა სიტყვები.

22 საათსა და 35 წუთზე მოსკოვის დროით სპეციალური მატარებელი, რომლითაც მოგზაურობენ იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეები, სადგურ კავკასკაიადან კრასნოდარისაკენ წავიდა. ბაქანზე საპატიო სტუმრების გასაცილებლად შეიკრიბნენ კროპოტკინის, სადგურ კავკასკაიას და ახლომახლო სტანიცების მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ სიტყვით მიმართა მათ.

13 ივნისი. (საკდესი).

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „1956 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვების დამზადებაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ“. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებს, კომკავშირის რაიონულ, საოლქო, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს უზრუნველყონ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის უაღრესად აქტიური მონაწილეობა საკვების დამზადებაში, სიმინდის, ძირხვენებისა და სხვა საკვები კულტურების მოვლაში, აგრეთვე სასილოსე ნაგებობათა მშენებლობასა და შეკეთებაში, ფართოდ გააჩაღონ შეჯიბრება თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საკვების დაგროვების დაწესებული გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი რჩევას აძლევს კომკავშირულ ორგანიზაციებს შექმნან თივის თიბვის, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის, სილოსის ჩადების ახალგაზრდული ბრიგადები და რგოლები; მოაწყონ ახალგაზრდობის მასობრივი გასვლა საკვების დასამზადებლად და საკვებ კულტურათა ნათესების მოსავლელად; მიაღწიონ იმას, რომ თივის ასაღები თვითეული აგრეგატი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს ცვლის გამომუშავების ნორმებს. იქ, სადაც არ არის სათიბი მანქანის გამოყენების შესაძლებლობა, რეკომენდებულია მოეწყოს ხელით თიბვა, რათა მოუთიბავი არ დარჩეს არც ერთი ჰექტარი სათიბი. საკვების დამზადების სამუშაოებში კომკავშირულ ორგანიზაციებს საჭირო შემთხვევაში შეუძლიათ ჩააბან ქალაქებისა და მუშათა დაბების ახალგაზრდობა, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობას.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან ერთად გამოაცხადა რაიონული კომკავშირული ორგანიზაციების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება საკვების დამზადებისათვის. გამარჯვებულად ჩაითვლებიან რაიონული კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი აქტიური მუშაობით დაეხმარებიან მტს-ებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს თავის დროზე დაამთავრონ თივის ასაღები მანქანების რემონტი და სრულად გამოიყენონ ისინი; თიბვა მოაწყონ ყველა ბუნებრივი სათიბისა და ნათესი ბალახების მთელ ფართობზე; დაეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოაწყონ სიმინდის, ძირხვენების, ბალჩეული და სხვა საკვები კულტურების ნათესების მაღალხარისხოვანი მოვლა, დროზე მოაწყონ მთელი ნამჯისა და ბზის დაზვინვა; უზრუნველყოფენ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მასობრივ მონაწილეობას სასილოსე ნაგებობათა მშენებლობასა და რემონტში, სილოსის [illegible] — [illegible]ლებაში.

სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები: რაიონული კომკავშირული ორგანიზაციებისათვის — ორმოცი პირველი, სამოცი მეორე და ასი მესამე პრემია; კოლმეურნეობათა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციებისათვის — ასი პრემია; 1.500 პრემია — კომკავშირელების, ახალგაზრდობისა და კომკავშირული აქტივისტებისათვის.

რაიონული კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც პირველ ადგილს დაიკავებენ დაჯილდოებული იქნებიან მსუბუქი ავტომობილით და შეტანილი იქნებიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში. ზოგიერთი მათგანი საოლქო, სამხარეო აღმასრულებელი კომიტეტებისა და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგინებით შეიძლება დამტკიცებულ იქნას სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ.

რაიონული კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც მეორე ადგილებს დაიკავებენ, დაჯილდოვდებიან ეტლიანი მოტოციკლეტებით და შეტანილი იქნებიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

რაიონული კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც მესამე ადგილებს დაიკავებენ, დაჯილდოვდებიან რადიომიმღებებით და შეტანილი იქნებიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწევენ შეჯიბრებაში, დაჯილდოვდებიან ძვირფასი საჩუქრებით (ველოსიპედები, რადიოლები, სპორტული ინვენტარი, მუსიკალურ ინსტრუმენტთა შენარჩევი და სხვ.).

კომკავშირელები, ახალგაზრდობა, კომკავშირული აქტივისტები, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიჩენენ თავს საკვების დამზადების სამუშაოებში, დაჯილდოვდებიან მაჯის საათებით ან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის უფასო საგზურებით.

საკვების დამზადებისათვის რაიონული კომკავშირული ორგანიზაციების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება 1956 წლის ნოემბერში.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა კომკავშირელებს, სოფლის მთელ ახალგაზრდობას აქტიურად ჩაებან ბრძოლაში, რომ შექმნან მტკიცე საკვები ბაზა პირუტყვისათვის და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ საყოველთაო-სახალხო საქმეში — საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 11 ივნისის ცნობებით)

11 ივნისისათვის რესპუბლიკაში სულ მოკრეფილი იყო 30.077,3 ტონა ჩაის ფოთოლი, მაის-ივნისის გეგმის 55,4 პროცენტი. ბათუმის რაიონს მაის-ივნისის გეგმა შესრულებული ჰქონდა 65,5 პროცენტით, ქობულეთის — 59,3, ქედის — 149,1, გალის — 50,2, ოჩამჩირის — 53,0, გულრიფშის — 67,5, სოხუმის — 37.3, გუდაუთის — 37,9, მახარაძის — 56,0, ჩხატაურის — 69,9, ლანჩხუთის — 54,7, სამტრედიის — 58,5, წულუკიძის — 60,7, ქუთაისის — 46,6, წყალტუბოს — 76,1, ტყიბულის — 37,4, ცხაკაიას — 60,4, აბაშის — 58,7, გეგეჭკორის — 57,9, ზუგდიდის — 46,9, წალენჯიხის — 50,0, ჩხოროწყუს — 67,2, ხობის — 53,7, ზესტაფონის — 90,7, თერჯოლის — 117,6, ჭიათურის — 76,0, ვანის რაიონს — 2,0 პროცენტით.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

გამოფენის მონაწილეთა შეხვედრა მრეწველობის მოწინავეებთან

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა 1956 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა შეხვედრა მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა მოწინავეებთან. დარბაზში არიან ექსკურსანტები, რომელნიც ჩამოვიდნენ ცენტრალური ოლქებიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ყაზახეთიდან, ციმბირიდან და ალტაიდან, დედაქალაქის საწარმოთა მუშები და ინჟინრები.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ პარტიის მოსკოვის ოლქის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. მელიხოვმა განაცხადა, რომ ლენინის რაიონის კოლმეურნეებმა მტს-ის დახმარებით მიმდინარე წელს შეამცირეს შრომის დანახარჯი რძის, ხორცისა და კვერცხის წარმოებაზე ერთი მესამედით გასულ წელთან შედარებით.

დიდი ინტერესი გამოიწვია ნიკოლაევის ოლქის ვოზნესენსკის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ თავმჯდომარის ამხ. ლუგოვოის სიტყვამ. მან ილაპარაკა, რომ შარშან ამ მეურნეობაში მარცვლეულის წარმოებაზე შრომის დანახარჯი ერთიორად შემცირდა, ამასთან სიმინდის წარმოებაზე ერთისამად. შრომის დანახარჯი შემცირდა სხვა პროდუქციის წარმოებაზეც. შესამჩნევად გადიდდა კოლმეურნეობის შემოსავალი და შრომადღეებზე გასაცემის ოდენობა. ეკონომიკის განმტკიცებამ შესაძლებელი გახადა გამოეყოთ დიდი სახსრები ღრმად მოხუცებული კოლმეურნეებისათვის პენსიების მისაცემად, ორი კვირის შვებულებათა ასანაზღაურებლად, ორსულობისა და დროებითი შრომის უუნარობის გამო დახმარების მისაცემად, სანატორიუმების საგზურების შესაძენად.

სიტყვა ეძლევა ყაზახეთის კოკჩეტავის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ცელინის“ დირექტორს სოციალისტური შრომის გმირს ამხ. შიგლევატიხს. მან ილაპარაკა, რომ ორი წლის წინათ დაარსებულმა საბჭოთა მეურნეობამ მოხნა 32 ათასი ჰექტარი ყამირი და შარშან მილიონ ფუთზე მეტი ხორბალი მისცა სახელმწიფოს. წელს ითვალისწინებენ უკვე დაახლოებით ორი მილიონი ფუთი მარცვლეული აიღონ.

ამხ. შიგლევატიხმა დაასახელა ახალგაზრდა პატრიოტები, რომლებიც თავდადებით სძლევენ ყამირის ათვისების სიძნელეებს: ტრაქტორისტები ი. ფროლოვი, ე. ხნეეკოვსკი, ვ. რადჩენკო, პ. პოშჩეპაილო და სხვები. საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, რომლებიც აუმჯობესებენ ტექნიკის გამოყენებას, წელს თითქმის 50 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება. მაგრამ მთელი რიგი სამუშაოები ჯერ კიდევ არ არის მექანიზებული. საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გამოთქვა სურვილი, რომ მრეწველობამ მოაწყოს ავტომანქანებში მარცვლეულის ჩასატვირთავი მექანიზმების გამოშვება.

ვორონეჟის ოლქის ბობროვის რაიონის შიშოვკის მტს-ის დირექტორმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ტიმაშოვამ განაცხადა, რომ გასულ წელს მტს-ის კოლექტივი დაეხმარა კოლმეურნეებს გაორკეცებინათ მარცვლეულის საერთო მოსავალი. კოლმეურნეობებში, რომლებსაც მტს-ი ემსახურება, რძის წარმოება ოთხჯერ გადიდდა და ხორცისა ორჯერ, ხოლო სილოსის დამზადება — 6-ჯერ. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი წელიწადში 5-დან 12 მილიონ მანეთამდე გადიდდა. ამასთან შრომის დანახარჯი შაქრის ჭარხლის წარმოებაზე შემცირდა ერთიორად, მარცვლეულის წარმოებაზე ერთნახევარჯერ და რძის წარმოებაზე — 15 პროცენტით. ამხ. ტიმაშოვამ სთხოვა მრეწველობის მუშაკებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვების დროს მეტი მოხერხებულობა შეუქმნან იმას, ვინც ამ მანქანით მუშაობს.

მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის კოლექტივის სახელით ილაპარაკა ოსტატმა ამხ. შერშნევმა, ლიუბერცის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის სახელით — საამქროს უფროსმა ამხ. გეორგიევსკიმ, ქარხანა „დინამოს“ სახელით — მხეხავმა ამხ. არტემოვმა. მათ განაცხადეს, რომ მათი საწარმოების მუშები და ინჟინრები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვება. კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ მრთველმა ამხ. სუზდალცევამ, ილაპარაკა რა კომბინატის მუშაობაზე, თქვა, რომ ფეიქრების თხოვნაა მესელეობისა და მებამბეობის რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მეტი ნედლეული აწარმოონ მრეწველობისათვის.

შეხვედრამ საქმიან და გულითად ვითარებაში ჩაიარა. დასასრულ გაიმართა მოსკოვის საწარმოთა თვითმოქმედი კოლექტივების და ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. (საკდესი).

„კოლმეურნეობათა მოედანი“ გამოფენის გახსნის დღეს.

ფოტო ა. სერგეევისა და ბ. ტრეპეტოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

პარტიული ცხოვრება

გავაძლიეროთ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა

(პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმზე)

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი, რომელიც ამას წინათ გაიმართა. მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. დ. ჩხიკვიშვილი.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ყოველწლიურად იზრდება რაიონის კომკავშირელთა საწარმოო მაჩვენებლები, მაგრამ ახალგაზრდების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს, არ ასრულებს საწარმოო დავალებებს, არ იჩენს ინიციატივას, ნაკლებად იბრძვის შრომის ახალი მეთოდების ათვისებისა და დანერგვისათვის. თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაში ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა, მაგრამ საკითხის ბეჯითი შესწავლა სულ სხვა სურათს იძლევა. ზოგიერთი ახალგაზრდა სისტემატურად ჩამორჩება საწარმოო დავალებათა შესრულებაში, არღვევს შრომის დისციპლინას, ნაკლებად ზრუნავს თავისი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ფაბრიკაში სუსტად არის დაყენებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისა და მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის საქმე.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ რაიონის სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების კომკავშირული ორგანიზაციები.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, უკანასკნელ წლებში გაიზარდა იმ კომკავშირლების რიცხვი, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას. ეს იმიტომ ხდება, რომ კომკავშირის რაიკომი და პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები არ აწარმოებენ მათთან სათანადო პოლიტიკურ აღმზრდელობით მუშაობას, ხოლო ზოგიერთი საშუალო სკოლა ნაკლებად უნერგავს მოსწავლეებს შრომისადმი სიყვარულს. საჭიროა აღვზარდოთ მოსწავლეები შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ეს კი განუყრელად არის დაკავშირებული პოლიტექნიკური სწავლების შემდგომ განვითარებასთან. მაგრამ ამ მხრივ რაიონში არც ისე კარგი მდგომარეობაა. მაგალითად 61-ე, 62-ე, 63-ე და სხვა სკოლებში სახელოსნოები არ მოუწყვიათ. იშვიათად იმართება მოსწავლეთა შეხვედრები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან, ექსკურსიები საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, დამყარებული არ არის მჭიდრო კავშირი მშობლებსა და სკოლას შორის. სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენებას მოწმობს ის ფაქტი, რომ მესამე მეოთხედის მაჩვენებელთა მიხედვით 15.428 მოსწავლიდან ჩამორჩება 2.551, მათ შორის 238 კომკავშირელი.

პლენუმმა ყურადღება გაამახვილა უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებზე. ეს გასაგებიც არის, რადგან რაიონში თავმოყრილია რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

4.500-ზე მეტი წევრია უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციაში. როგორ ასრულებს ახალგაზრდობის ეს დიდი არმია დაკისრებულ მოვალეობას, როგორ იბრძვის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სტუდენტთა შორის შეგნებული დისციპლინის დანერგვისათვის? ამ საკითხებზე პლენუმს მოუთხრო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ამხ. ი. გოქაძემ. კომკავშირის მუშაობაში, — თქვა მან, — შესამჩნევი გახდა მოდუნება, ფაკულტეტებსა და კურსებზე იშვიათად ეწყობა კომკავშირული კრებები. განსახილველ საკითხებს ღრმად არ სწავლობენ, არ იმართება პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა. ამ მხრივ დამახასიათებელია ისტორიის ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობა. ძალიან სუსტად მუშაობენ აგრეთვე დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების კომკავშირული ორგანიზაციები. პირველი სემესტრის მაჩვენებლების მიხედვით გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე 32 კომკავშირელი ჩამორჩა. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა კომკავშირლები არღვევენ საზოგადოებრივ დისციპლინას, არ იცავენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

კომკავშირული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ინსტიტუტის პარტიული კომიტეტი და ფაკულტეტების ბიუროები კომკავშირული მუშაობის საკითხებს ზოგიერთ შემთხვევაში ზერელედ, ფორმალურად განიხილავენ, რასაც, ცხადია, არავითარი შედეგი არ მოაქვს. სუსტად არის დაყენებული პარტიის XX ყრილობის მასალების პროპაგანდა სტუდენტებში, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კომკავშირის კომიტეტის მომხსენებელთა ჯგუფი, სერიოზული ნაკლოვანებანია სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში, ჩამლილია მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების და სასპორტო წრეების მუშაობა. მსგავსი ნაკლოვანებებია რაიონის სხვა უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაშიც. განსაკუთრებით დაბალია აკადემიური მაჩვენებლები პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც ყოველი 100 სტუდენტიდან ჩვიდმეტი ჩამორჩება.

პლენუმმა ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთ ფორმებზე, როგორიც არის აგიტაცია და პროპაგანდა. აღინიშნა, რომ უმრავლეს შემთხვევებში პოლიტიკური აგიტაცია შემოიფარგლება გაზეთის ხმამაღლა კითხვით, სუსტად არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, სტუდენტთა ყოველდღიურ საქმიანობასთან. ლექციები, მოხსენებები მოკლებულია კონკრეტულობას. ნაკლებად იკითხება მოხსენებები ხალხთა მეგობრობაზე, საბჭოთა პატრიოტიზმსა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე და სხვ.

პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომი, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა პარტიის XX ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად. აღინიშნა, რომ კომკავშირის რაიკომი თავის აქტივს ვერ ზრდის პირდაპირობისა და პრინციპულობის სულისკვეთებით, ხშირ შემთხვევაში მოუმზადებლად იწვევს პლენუმებს.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დირექტორმა გ. ვარდოსანიძემ, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ნ. გოგლიძემ, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორმა ი. კვესიტაძემ და სხვ. პლენუმზე აღნიშნეს, რომ ნაკლოვანებანი კომკავშირულ მუშაობაში აიხსნება კომკავშირისადმი სუსტი პარტიული ხელმძღვანელობით. საჭიროა პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად სწავლობდნენ ახალგაზრდების მოთხოვნებს, მათს საჭიროებებს, ზრდიდნენ ახალგაზრდობას მინდობილი საქმისათვის ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით,

პლენუმმა დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

სამტრედიის საკონსერვო ქარხანაში მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატის სახელი მოიხვეჭა მოწინავე მუშამ ნ. ქოიავამ, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს სისტემატურად 135-140 პროცენტით ასრულებს და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევა. სურათზე: ნ. ქოიავა მუშაობის დროს.

რკინიგზელის დღის შესახვედრად

თბილისის სატვირთო სადგურის კოლექტივმა ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღის აღსანიშნავად და ამიერკავკასიის მაგისტრალის საწარმოთა კოლექტივებს მიმართა მოწოდებით, ეს დღე ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ. თბილისელმა რკინიგზელებმა იკისრეს რკინიგზელის საკავშირო დღისათვის დატვირთვის შვიდი თვის გეგმა შეასრულონ 130 პროცენტით და მიაღწიონ იმას, რომ ყველა სატვირთო მატარებლის საერთო რაოდენობიდან 70 პროცენტი მძიმე წონისა იყოს.

თბილისის სატვირთო სადგურის კოლექტივის პატრიოტულ თაოსნობას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამიერკავკასიის მაგისტრალის ყველა რკინიგზელმა. მათ გადაწყვიტეს რკინიგზელის დღისათვის შვიდი თვის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულონ.

4 მილიონი ცალი აგური გეგმის გადამეტებით

მეტეხის აგურის ქარხნის კოლექტივი სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე წარმატებით იბრძვის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. საწარმომ გასული თვის გეგმა 10 დღით ადრე შეასრულა და გეგმის გადამეტებით მშენებლობას მილიონზე მეტი ცალი აგური მისცა.

მეტეხელი მეაგურეები განუწყვეტლივ ზრდიან პროდუქციის გამოშვებას. წლის დამდეგიდან მათ გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვეს 4 მილიონზე მეტი ცალი სამშენებლო აგური.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ საყალიბო და გამომწველი საამქროები. მოწინავე მუშები ზ. დავითაშვილი, ი. ნავროზაშვილი, გ. მჭედლიშვილი ყოველდღიურ დავალებებს სარეკორდო მაჩვენებლებით ასრულებენ.

მეტი დახმარება ახალგაზრდა არქიტექტორებსა და მშენებლებს

არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის, მშენებლობასა და არქიტექტურაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლის საკითხების განსახილველად ამას წინათ თბილისში შედგა ახალგაზრდა არქიტექტორთა და მშენებელთა რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ბ. ლორთქიფანიძის მოხსენება ახალგაზრდა არქიტექტორთა და მშენებელთა ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა ჯერ კიდევ განიცდის საცხოვრებელი ფართობის სიმცირეს. მეექვსე ხუთწლედში მკვეთრად უნდა გაიზარდოს საბინაო მშენებლობა, აშენდეს მრავალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, სასკოლო შენობა, საავადმყოფო, კლუბი და ა. შ. მაგრამ მშენებლობის ტემპი ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. არ სრულდება საბინაო მშენებლობის გეგმები, ძვირი ჯდება ყოველი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხშირ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენში საბინაო და სამოქალაქო მშენებლობა ძირითადად, ჩამორჩენილი, პრიმიტიული მეთოდებით წარმოებს, ფართოდ არ ინერგება სამუშაოთა მექანიზაცია. უკვე კარგა ხანია დღის წესრიგში დგას სამშენებლო მოედნების გადაქცევა სამონტაჟო მოედნებად, სადაც მძლავრი მექანიზმების საშუალებით სახლი აწყობილი იქნება ქარხანაში დამზადებული მზა ბლოკებისა და დეტალებისაგან. ამისათვის საჭიროა შეიქმნას მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია, რომელიც მშენებლობას მიაწვდის ასაწყობ ბლოკებს, კედლისა და გადახურვის პანელებს, ხის მზა დეტალებს.

მომხსენებელმა დიდი ადგილი დაუთმო საბჭოთა არქიტექტურის შემდგომი განვითარების საკითხებს. მან აღნიშნა, რომ მოთხოვნა, არ დავუშვათ ზედმეტობა დაპროექტებასა და მშენებლობაში ზოგმა არქიტექტორმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა ისე გაიგეს თითქოს არქიტექტურაში მოიხსნა ნაგებობის გარეგნობის მხატვრული გადაწყვეტის საკითხი, თითქოს ჩვენ უკვე დავადექით შენობათა უაღრესი გაუბრალოების გზას, უკან ვუბრუნდებით თავის დროზე დაგმობილ კონსტრუქტივიზმს, ფუნქციონალიზმს და ა. შ. ასეთი შეხედულება მცდარია. არქიტექტურის სისადავე სრულიადაც არ ნიშნავს არქიტექტურის გაუბრალოებას, როგორც ეს ზოგიერთს ესმის. როცა ლაპარაკია ზედმეტობაზე, იგულისხმება ის, რაც ზედმეტია მხატვრული თვალსაზრისით, რაც არათუ არ ალამაზებს შენობას, არამედ, პირიქით, ხელს უშლის შენობის ფუნქციონალური სახის გამოვლინებას.

არქიტექტორთა ახალგაზრდა კადრების მომზადების შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა არქიტექტორი თ. კანდელაკი. მან აღნიშნა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ახალი ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. საჭიროა ახალგაზრდა არქიტექტორებს მეტი დახმარება გაუწიონ უფროსმა ამხანაგებმა.

მშენებლობებზე და საპროექტო სახელოსნოებში ახალგაზრდა ინჟინრების მუშაობის შესახებ ვრცლად ილაპარაკა თბილისის მთავარი არქიტექტორის მოადგილემ ი. ურუშაძემ. მან აღნიშნა, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ჯერ კიდევ ვერ უშვებენ მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერ-მშენებლებს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა ინჟინერი ვერ უძღვება ბრიგადირის საქმესაც კი. ეს იმის შედეგია, რომ უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტებს ვერ აძლევენ ფართო ტექნიკურ განათლებას, აუცილებელ პრაქტიკულ ცოდნასა და ჩვევებს.

ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ინჟინერთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, იშვიათად ვგზავნით მათ სხვა ქალაქების მშენებლობებზე, ასეთი მივლინებები კი ბევრ სასარგებლოს მისცემდა ჩვენს მშენებლებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას.

მოხსენებების შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც თბილისის, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქების ახალგაზრდა ინჟინრებმა და არქიტექტორებმა.

„თბილქალაქპროექტის“ წარმომადგენელმა არქიტექტორმა დ. მორბედაძემ ილაპარაკა კრიტიკის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ჩვენი კრიტიკოსები, როგორც წესი, არქიტექტურულ ნაწარმოებებს არჩევენ მისი ფორმის სრულყოფილობის თვალსაზრისით, არ უკავშირებენ მხატვრულ ფორმას ნაგებობის შინაგან სტრუქტურას, კონსტრუქციას.

ქუთაისის ახალგაზრდა მშენებელთა და არქიტექტორთა სახელით ილაპარაკა არქიტექტორმა დ. ლევიძემ. მან თქვა, რომ ქუთაისის ახალგაზრდა არქიტექტორები მოკლებული არიან დახმარებას და ხელმძღვანელობას საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მხრივ. ქუთაისში იშვიათად ჩამოდიან რესპუბლიკის მოწინავე, გამოცდილი არქიტექტორები, მაგრამ მაშინაც კი, როცა ჩამოდიან, ისინი არავითარ დახმარებას არ უწევენ ადგილობრივ არქიტექტორებს.

თათბირზე აღინიშნა, რომ საჭიროა ახალგაზრდა არქიტექტორთა და მშენებელთა უფრო ფართოდ ჩაბმა მუშაობაში, საჭიროა მეტი დახმარება გავუწიოთ, დავავალოთ მათ მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტა. ეს ხელს შეუწყობს მათი კვალიფიკაციის სწრაფ ზრდას, შემოქმედებითი ოსტატობის ამაღლებას.

თათბირის დასასრულს გამოცხადებულ იქნა ფართოეკრანიანი საზაფხულო კინოთეატრის ტიპურ პროექტზე ახალგაზრდა არქიტექტორთა და მშენებელთა რესპუბლიკური კონკურსის შედეგები.

პირველი პრემია მიიღეს არქიტექტორებმა თ. კანდელაკმა და დ. მორბედაძემ (კონსტრუქციები დაამუშავა რ. ზენეიშვილმა). მეორე პრემიები მიენიჭათ გ. მარჯანიშვილს, ლ. ცაგარელს, ა. მახარობლიშვილს, გ. ჯაბუას, რ. ხატიაშვილს, ფ. ქუფარაშვილს. ახალგაზრდა არქიტექტორებს გადაეცათ აგრეთვე ორი მესამე და სამი წამახალისებელი პრემია.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რაიკომის ხელმძღვანელობას მოკლებული პარტიული ორგანიზაცია“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 21 აპრილის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო გუდაუთის რაიონის სოფელ ფსირცხის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებანი. კოლმეურნეობაში სუსტად არის დაყენებული პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, ხოლო პარტიის გუდაუთის რაიკომი სათანადო დახმარებას და ხელმძღვანელობას არ უწევს აღნიშნულ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას.

პარტიის გუდაუთის რაიკომმა განიხილა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კორესპონდენცია, კრიტიკა სწორად ცნო და დასახა ღონისძიებანი წერილში მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

დიმიტრ ბლაგოევი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი

დაბადების 100 წლისთავის გამო

წელს 14 ივნისს ასი წელი სრულდება იმ დღიდან, რაც დაიბადა დიმიტრ ბლაგოევი — მარქსიზმის შესანიშნავი თეორეტიკოსი, მეცნიერული სოციალიზმის პირველი პროპაგანდისტი ბულგარეთში, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

ბლაგოევის სახელი განასახიერებს კავშირს რუსეთისა და ბულგარეთის რევოლუციურ მუშათა მოძრაობას შორის. თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და რევოლუციური მოღვაწეობა ბლაგოევმა დაიწყო გასული საუკუნის 80-იან წლებში პეტერბურგში. რუსეთში გადადგა ბლაგოევმა პირველი ნაბიჯები მარქსიზმის იდეების შესწავლისა და პეტერბურგის მუშებში მათი პროპაგანდის გზაზე. მან შექმნა ერთ-ერთი პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი რუსეთში (ბლაგოევის ჯგუფი) და მისი პროგრამის ავტორი იყო.

მარქსიზმის იდეებით, რომლებიც რუსეთში შეიძინა, ბლაგოევი დაბრუნდა ბულგარეთში და მაშინვე შეუდგა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ბულგარეთი იმ დროს ეკონომიურად ჩამორჩენილი, წვრილბურჟუაზიული ქვეყანა იყო. მუშათა მოძრაობა ამ ქვეყანაში მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა. ბლაგოევის რედაქციით 1885 წელს დაიწყო გამოსვლა პირველმა სოციალისტურმა ჟურნალმა ბულგარეთში „სვრემენნი პოკაზატელ-მა“.

რუსი მარქსისტები, და კერძოდ გ. ვ. პლეხანოვი, დაეხმარნენ ბლაგოევს იმაში, რომ განთავისუფლებულიყო უცხო იდეოლოგიური გავლენის (ნაროდნიკობისა და ლასალიანელობის) ნაშთებისაგან და თანმიმდევრული მარქსისტი გამხდარიყო. განსაკუთრებით კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ბლაგოევზე ლენინურმა „ისკრამ“. ბლაგოევი თვალყურს ადევნებდა გაზეთ „ისკრას“ და იმ პრობლემების კურსში იყო, რომლებზეც მიმართული იყო რუსი მარქსისტების ყურადღება. „ისკრიდან“ და ლენინის შრომებიდან ბლაგოევი იღებდა არგუმენტებს ბულგარელი ოპორტუნისტების — მემარჯვენეების (ფართო სოციალისტების, „ობშჩედელცების“) წინააღმდეგ საბრძოლველად. „ისკრაში“ დაიბეჭდა ბლაგოევის სტატიები ბალკანეთში არსებული მდგომარეობის შესახებ, კერძოდ მაკედონიის საკითხზე.

საინტერესო დოკუმენტს, რომელიც მოწმობს ბლაგოევის როგორც მარქსისტის განვითარებას, წარმოადგენს 1891 წელს გამოსული მისი ბროშურა „რა არის სოციალიზმი და აქვს თუ არა მას ნიადაგი ჩვენში?“.

სოციალიზმის მტრებთან იდეოლოგიურ ბრძოლაში ბლაგოევი იცავს და ავითარებს მარქსისტულ შეხედულებებს. პირველ იდეურ ბრძოლებს იგი აჩაღებს ნაროდნიკობის წარმომადგენლებთან, აბათილებს მათს აბნეულ თეორიებს.

ბლაგოევი აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე ბერნშტეინის, II ინტერნაციონალის პარტიებში ოპორტუნიზმის მამამთავრის რევიზიონიზმთან ბრძოლაში. ამ მხრივ განსაკუთრებით შესანიშნავია ბლაგოევის დიდი სტატია „მარქსიზმი თუ ბერნშტეინელობა“ (1901 წლის ჟურნალი „ნოვო ვრემე“), რომელშიც იგი აბათილებს ბერნშტეინის თეორიულ დებულებებს. ამ სტატიაში ბლაგოევი გამოდის როგორც მარქსის მოძღვრების დიდი მცოდნე.

პირველი მსოფლიო ომის თითქმის ბოლომდე ბულგარეთში ცნობილი არ იყო ლენინის მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ. სოციალისტურ პარტიაში გაბატონებული იყო კაუცკიანური გაგება იმპერიალიზმისა, როგორც განვითარებული კაპიტალიზმის გარკვეული პოლიტიკისა. ბლაგოევის დამსახურება ის არის, რომ მან ბულგარეთში პირველმა გადმოსცა ლენინური თვალსაზრისი იმპერიალიზმზე. 1918 წელს, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე, გაზეთ „რაბოტნიჩესკი ვესტნიკში“ გამოქვეყნდა ბლაგოევის მთელი რიგი სტატიები იმპერიალიზმის შესახებ. ამ სტატიებში გადმოცემული იყო ძირითადი შინაარსი ლენინის გენიალური შრომისა „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

დიმიტრ ბლაგოევი არა მარტო პროპაგანდას უწევდა მარქსის მოძღვრებას, არამედ კიდევაც იბრძოდა მისი განხორციელებისათვის. 1885 წელს იგი ბულგარეთში ჩაიდა ნათელი იდეით — განეგრძო საქმე, რომელიც პეტერბურგში დაიწყო, ესე იგი ემუშავნა სოციალისტური პარტიის შესაქმნელად. ბლაგოევმა თავის გარშემო გააერთიანა სოციალიზმის მომხრენი და საფუძველი ჩაუყარა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ბულგარეთში (1891 წლის აგვისტო).

იგი ემხრობოდა მარქსისტულ თვალსაზრისს მუშათა კლასის პარტიაზე. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მისი საპროგრამო სტატიიდან „ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია“. ეს სტატია გამოქვეყნდა გაზეთ „რაბოტნიკში“ (ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველი ორგანი), რომლის გამოსვლა დაიწყო 1892 წლის 1 ნოემბერს. სტატიაში უწინარეს ყოვლისა ხაზგასმულია პარტიის ინტერნაციონალისტური ხასიათი, ნათქვამია, რომ პარტია „მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის ნაწილია“, რომ პარტია აერთიანებს ბულგარეთის „მუშათა ყველაზე შეგნებულ ნაწილს“ და წარმოადგენს მოწინავე რაზმს — „მუშათა მოძრაობის ავანგარდს“, „მუშათა კლასის ორგანიზებულ მებრძოლ ძალას“.

ამ დროს პარტიას უხდებოდა ბრძოლა ბულგარელი „ეკონომისტების“, ეგრეთწოდებული „სოიუზისტების“ წინააღმდეგ, რომლებიც პარტიის როგორც მუშათა კლასის მოწინავე ორგანიზებული რაზმის მოწინააღმდეგენი იყვნენ.

„სოიუზისტების“ ოპორტუნისტული ქადაგება საშიში იყო, ვინაიდან ქმნიდა იმის საფრთხეს, რომ ჩასახვის პროცესში მყოფ მუშათა მოძრაობას დაეკარგოდა ხელმძღვანელობა მუშათა პარტიის მხრივ. ბლაგოევმა გადაჭრით გაილაშქრა ამ ოპორტუნისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ. მთელ რიგ სტატიებში მან განმარტა მარქსისტული მოძღვრება კლასობრივი ბრძოლის ფორმების შესახებ, ცხადყო, რომ საჭიროა არსებობდეს მუშათა პარტია, რომელიც მოწოდებულია ახორციელებდეს მუშათა კლასისადმი პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, მიუძღოდეს მას სოციალიზმისაკენ.

ბულგარეთში მუშათა პარტია საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც მარქსისტული პარტია „ობშჩედელსტვოსთან“ — მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის ბულგარულ ნაირსახეობასთან ბრძოლაში. ბლაგოევმა პირველმა ამხილა „ობშჩედელსტვის“ წვრილბურჟუაზიული ბუნება. „ობშჩედელსტვის“ წინააღმდეგ ბრძოლაში ბლაგოევმა გამოიყენა ლენინის განთქმული ნაწარმოები „რა ვაკეთოთ?“.

ბლაგოევის დიდი დამსახურებაა ის, რომ მან პირველმა დააყენა საკითხი „ობშჩედელსტვოსაგან“ პარტიის გაწმენდის საჭიროების შესახებ. მან ცხადყო, რომ ეს უცხო, პარტიის გამხრწნელი მიმდინარეობაა. „ობშჩედელსტვის“ მომხრეები განსაკუთრებით იმით არიან საშიში, იძლეოდა გაფრთხილებას ბლაგოევი, რომ ისინი მოქმედებენ ვერაგულად, მისდევენ მტრების ტაქტიკას, რომლებსაც სურთ შიგნიდან ჩაიგდონ ხელში ციხე, ესე იგი ფართო სოციალიზმის ნიღბით გადაიყვანონ პროლეტარიატი უხმასი ოპორტუნიზმის გზაზე“. ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, ბლაგოევი აკეთებს დასკვნას: „... თუ თვითონ პარტია დროზე არ მიიღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა გაიწმინდოს საკუთარი თავი წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმისაგან, ეგრეთწოდებული ფართო სოციალიზმისაგან, და ბოლო მოუღოს საშიშ თამაშს თავისი მომავლით... მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია მხოლოდ სახელწოდებით იარსებებს“.

პარტიამ ყურადღო ბლაგოევის ხმა. 1903 წელს იგი გაიწმინდა „ობშჩედელსტვოსაგან“ და იწყო არსებობა როგორც ვიწრო სოციალისტთა პარტიამ — მარქსისტულმა რევოლუციურმა პარტიამ, რომელსაც ადგილი ეკავა II ინტერნაციონალის მარცხენა ფლანგზე და ახლოს იყო რუს ბოლშევიკებთან.

ანტიპარტიული ფრაქციების წინააღმდეგ ბრძოლაში ბლაგოევმა შეიმუშავა პარტიის ორგანიზაციული პრინციპები. მან უკუაგდო პარტიის ორგანიზაციის ფედერალისტური პრინციპი, დაასაბუთა და განახორციელა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას, შინაგან ერთიანობას და მკაცრ შეგნებულ დისციპლინას პარტიაში.

ბლაგოევის მეთაურობით პარტია გახდა მარქსიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგული, ბურჟუაზიისა და მისი რეფორმისტული აგენტურისადმი შეურიგებელი. მან შეითვისა მუშათა კლასის ძალისა და მომავლის ურყევი რწმენა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ვიწრო სოციალისტთა პარტია ბლაგოევის ხელმძღვანელობით ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე რჩებოდა. პარტიის წარმომადგენლებმა პარლამენტში ხმა მისცეს სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ. პარტიის საპარლამენტო ჯგუფის დეკლარაციაში ნათქვამი იყო: „ჩვენ ახლაც ვრჩებით ომის მტკიცე მოწინააღმდეგეებად... ჩვენ ვაცხადებთ, რომ სისხლიან მონარქიასა და ბურჟუაზიას არავითარ დახმარებას არ გაუწევთ და მთელი მსოფლიოს შეგნებულ პროლეტარიატთან სოლიდარული ვიქნებით“...

ბლაგოევმა დაგმო სოციალ-დემოკრატიული პარტიების ოპორტუნისტი ბელადები, რომლებმაც უკუაგდეს საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დროშა და სოციალ-შოვინიზმის ჭაობში ჩაეფლნენ. ჯერ კიდევ ომის დასაწყისში იგი თავის სიტყვებსა და სტატიებში აღნიშნავდა, რომ სოციალ-შოვინიზმი კანონიერი შვილია ოპორტუნიზმისა, რომელმაც II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში ფესვები გაიდგა ომამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე.

როცა რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია დაიწყო, ვიწრო სოციალისტთა პარტია მას აღტაცებით მიესალმა, მხარი დაუჭირა მის ლოზუნგებს, მოუწოდა ბულგარელ მუშებსა და გლეხებს მიებაძათ „თავიანთი რუსი ძმების მაგალითისათვის“.

ოქტომბრის რევოლუციას ბლაგოევმა ბევრი თავისი სიტყვა და სტატია მიუძღვნა. იგი აღნიშნავდა, რომ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, რომ „საფუძველი ჩაეყარა ახალ სამყაროს“. ბლაგოევი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების საყრდენები შერყეულია, რომ ხდება არსებითი ცვლილებები მშრომელთა შეგნებაში, რომლებიც თავიანთ ხსნას რევოლუციაში, კომუნიზმის გამარჯვებაში ხედავენ.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვიწრო სოციალისტთა პარტიაში დაიწყო ბოლშევიზაციის პროცესი. პარტიის სრულ ბოლშევიკურ ორიენტაციაზე გადასვლის საჭიროება უწინარეს ყოვლისა ბლაგოევმა აღნიშნა.

1919 წლის მაისში, იმის შემდეგ თავის პირველ ყრილობაზე ბულგარეთის ვიწრო სოციალისტთა პარტიამ თავი კომუნისტურ პარტიად გამოაცხადა და მიიღო საპროგრამო დეკლარაცია, რომელშიც გამოთქმული იყო ლენინური თვალსაზრისი იმპერიალიზმზე, სახელმწიფოზე, პროლეტარულ რევოლუციაზე, პროლეტარიატის დიქტატურასა და საბჭოთა ხელისუფლებაზე. რა თქმა უნდა, ამით არ დამთავრებულა პარტიის ბოლშევიზაციის პროცესი. ეს პროცესი მთელი რიგი წლების მანძილზე გრძელდებოდა. იგი განსაკუთრებით დაჩქარდა ბულგარეთის მუშათა და გლეხთა 1923 წელს მომხდარი სახელოვანი სექტემბრის აჯანყების შემდეგ.

დიდი მსხვერპლი გაიღო პარტიამ და მუშათა მოძრაობამ ბულგარეთში მძვინვარე ფაშისტური დიქტატურის წლებში (1923-1944 წლები). ბულგარეთის რევოლუციური მოძრაობისათვის უდიდესი დანაკლისი იყო დ. ბლაგოევის გარდაცვალება 1924 წლის 7 მაისს. მაგრამ პარტიამ გაუძლო ფაშისტური დიქტატურის მძიმე დარტყმებს, უფრო მეტიც, მან შეძლო დაერაზმა ხალხის ფართო მასები და ხელმძღვანელობა გაეწია მათთვის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხელსაყრელ პირობებში, რომლებიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ჯარების ისტორიულ გამარჯვებათა შედეგად, ბულგარელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა სახელოვანი გამარჯვებით დაგვირგვინდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბულგარეთის მშრომელებმა დაამხეს ფაშისტური ტირანია და დაამყარეს სახალხო ხელისუფლება. ბულგარეთის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. ამ გამარჯვებებს საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, როცა ბლაგოევი შეუდგა მეცნიერული სოციალიზმის პროპაგანდას და იბრძოდა ბულგარეთში მარქსისტული რევოლუციური პარტიის შექმნისათვის. მან ჩაუნერგა პარტიას მუდმივი სწრაფვა მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისადმი, მუშათა კლასის ბრძოლის ხელმძღვანელობის მარქსისტულ-ლენინური მეთოდების დაუფლებისადმი. ბულგარეთის კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ ასრულებს ბლაგოევის ანდერძს, მიაჩნია რა იგი ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ამოცანების განხორციელების, ახალი, სოციალისტური ცხოვრების წარმატებით აშენების აუცილებელ პირობად.

პეტრე გეორგიევი,
ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

კოლმეურნეობაში არ მუშაობენ, საკოლმეურნეო უფლებებით სარგებლობენ

სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში მტს-ების ძლავრი ტექნიკის სრულად გამოყენებასთან ერთად მთავარია კოლმეურნეობაში შრომის სწორი ორგანიზაცია, აღრიცხვა, შრომის მტკიცე დისციპლინა. შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ მხრივ ხაშურის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები და დამახინჯებები. მაგალითად, სოფელ ცხრამუხის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში წლების მანძილზე ვერ ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის განვითარების გეგმებს. შარშან მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს მხოლოდ 5,7 ცენტნერი სიმინდი, ასევე დაბალი იყო ხორბლის მოსავლიანობა, ხოლო წველადობის გეგმა სანახევროდაც არ შეუსრულებიათ.

ამ მწარე გაკვეთილიდან წელსაც სათანადო დასკვნა არ გაუკეთებიათ. ჩამორჩებიან მინდვრის სამუშაოებში. აქ უხეშად არღვევენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროწესებს. სიმინდის თესვა 20 დღის დაგვიანებით დაამთავრეს, ნელი ტემპით მიმდინარეობს ნათესების დამუშავება, ბევრგან ნათესი ბალახით არის დაფარული. ცუდად დაიწყეს სამეურნეო წელი მეცხოველეობაშიც. 8 თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს მხოლოდ 131 ლიტრი რძე.

კოლმეურნეობაში ასეთ ჩამორჩენას ცუდი ამინდითა და მუშახელის ნაკლებობით ხსნიან. სინამდვილეში ეს მდგომარეობა მარტო ამით როდი აიხსნება. აქ სუსტად არის დაყენებული შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა, ყველა კოლმეურნე სისტემატურად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო წარმოებაში, ხოლო ასეთი კოლმეურნეები სარგებლობენ შეღავათით და ბერავენ თავიანთ პირად მეურნეობას საზოგადოებრივი მეურნეობის საზიანოდ. ლ. ღონღაძე, რომელიც შრომისუნარიანია, მონაწილეობას არ იღებს არტელის საზოგადოებრივ მეურნეობაში, მას შარშან და წელს არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. მიუხედავად ამისა, იგი სარგებლობს კოლმეურნის უფლებებით, საკარმიდამო ნაკვეთი აქვს სრული ნორმით.

ქ. სუხიაშვილიც ხაშურის სალოკომოტივო დეპოში მუშაობს. მისი ცოლი შრომისუნარიანია, მიუხედავად ამისა საკოლმეურნეო შრომას გაურბის. საკარმიდამო ნაკვეთი კი იმდენი აქვთ, რამდენიც აქტიურ კოლმეურნეს. ს. ოქრუაშვილმა შარშან კოლმეურნეობაში მხოლოდ 35 შრომადღე გამოიმუშავა, წელს 5 თვეში — 12.

არ არის ამოფხვრილი საკოლმეურნეო წესდების დამახინჯებანი. სათოხნ კულტურებზე არ იყენებენ წვრილჯგუფურ და ინდივიდუალურ სანარდო სისტემას, ბრიგადასა და რგოლში შესრულებულ სამუშაოს აღრიცხავენ არა თვითეული კოლმეურნის გამომუშავების მიხედვით, არამედ შეჯამებულად, და თანაბრად ყოფენ იმ კოლმეურნეთა საერთო რაოდენობაზე, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მუშაობაში. მაგალითად, მესამე ბრიგადის წევრებმა ნ. კიკნაძემ, ლ. ღონღაძემ, მ. დოდაძემ, ნ. ბირკაძემ და სხვებმა, სულ 17 კოლმეურნემ, 18 აპრილს პამიდორის ჩითილის რგვაზე იმუშავეს. კოლმეურნეთა ნამუშევარი ერთად აღრიცხეს და შემდეგ თვითეულს თანაბრად დაუწერეს 0,57 შრომადღე. შრომის ანაზღაურებაში გათანაბრების ასეთი მაგალითი აქ მრავალია. ეს კი, როგორც ცნობილია, ხელს უწყობს გაუპიროვნებას, სცემს შრომის ნაყოფიერებას და ცუდ გავლენას ახდენს სამუშაოთა ხარისხზე. ასეთ ფაქტებს რატომღაც ურიგდებიან კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

კოლმეურნეობაში ვხვდებით აგრეთვე შრომადღეებისა და საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვის ფაქტებს. ლ. თიგიშვილმა იმუშავა დურგალთან დამხმარე მუშად. ამ სამუშაოსათვის გამომუშავების ნორმის გაუთვალისწინებლად და საერთო კრების დაუკითხავად მას 4 შრომადღე დაუწერეს.

როგორც წესი, ბრიგადირი ვალდებულია ყოველდღიურად აღრიცხავდეს თვითეული კოლმეურნის ნამუშევარს. სამწუხაროდ, ამ წესს აქ არ იცავენ. კოლმეურნეობის გამგეობამ რატომღაც დაადგინა — ყოველ ბრიგადას გამოეყოს აღმრიცხველი დაქირავების წესით და თვითეულ აღმრიცხველს ბრიგადირის შრომადღიდან თვეში დაერიცხოს 15 შრომადღე, ხოლო აღმრიცხველებმა შრომადღის სავალდებულო მინიმუმი გამოიმუშავონ მხოლოდ 50 პროცენტით. სამწუხარო ის არის, რომ ამ ფაქტს ნორმალურად თვლიან ხაშურის მტს-ის დირექტორი გ. გაგნიძე და მტს-ის უფროსი ბუღალტერი ი. ბირკაძე. ასეთ ფაქტებს სხვა კოლმეურნეობაშიც ვხვდებით.

მარქსის სახელობის კოლმეურნეობა რაიონის ცენტრიდან არც ისე შორს არის. იქ ხშირად მიდიან რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, მაგრამ საფუძვლიანად არ სწავლობენ კოლმეურნეობის მუშაობას, მის ეკონომიკას. ამ მდგომარეობით სარგებლობენ ბოროტმოქმედნი, რომლებიც საკოლმეურნეო ქონებაში ისე აფათურებენ ხელს, როგორც საკუთარ ჯიბეში.

რამდენიმე მაგალითი: ლ. ლომიძემ საწყობში მუშაობის დროს მიითვისა 1.100 მანეთის პროდუქტები, ვინმე გ. ცხოვრებაშვილმა ნისიად იყიდა 492 მანეთად ღირებული თხა, კოლმეურნეობის 1.327 მანეთი მართებს ლ. თიგიშვილს, 2.473 მანეთი — დ. თიგიშვილს. სულ კოლმეურნეობაში 19.331 მანეთის საკოლმეურნეო ქონება გაფლანგულია, მის დასაბრუნებლად თავს არ იწუხებენ.

— რა ვქნათ, ზოგიერთის მისამართი ვერ დავადგინეთ და ამიტომ გაფლანგული საკოლმეურნეო ქონება დღემდე ვერ დავიბრუნეთო, — უპასუხისმგებლოდ აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ლაცაბიძე.

გასულ წელს კოლმეურნეობაში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია შრომისუნარიან კოლმეურნეთა 37 პროცენტს. ამ მხრივ წელსაც არ არის კარგი მდგომარეობა.

აი მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა, კოლმეურნეთა შრომადღეებზე გასანაწილებელი ფულისა და პროდუქტების საგრძნობი შემცირება.

სოფელ ჰალისუბნის კოლმეურნეობაში შრომა მოუწესრიგებელია, კოლმეურნეთა ერთი ნაწილი ზარმაცობს და გაურბის საკოლმეურნეო შრომას. ეს პირველ რიგში ითქმის გაბრიელ და ბორის თიგიშვილებზე. ისინი შრომისუნარიანნი არიან, მაგრამ კოლმეურნეობაში არცერთი შრომადღე არა აქვთ გამომუშავებული. კოლმეურნეთა უფლებებით კი სარგებლობენ.

კოლმეურნეობაში ჩაშლილია შრომის აღრიცხვა. კოლმეურნეთა შრომადღეების აღრიცხვის წიგნში, სადაც შრომადღეების გადატანა უნდა ხდებოდეს ყოველ 5 დღეში ერთხელ, იანვრიდან დღემდე არცერთი შრომადღე არა აქვთ გადატანილი. კოლმეურნეებმა არ იციან, თუ რამდენი შრომადღე აქვთ გამომუშავებული. აღრიცხვიანობის ასეთ არევ-დარევას გულდამშვიდებით შესცქერიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გიგიტაშვილი და ბუღალტერი ლ. გრიგალაშვილი.

სოფელ ქვიშხეთის კოლმეურნეობაში შარშან 429 კოლმეურნიდან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 301 კაცს. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ოძისის ენგელსის სახელობის, იტრიის ორჯონიკიძის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებშიც.

რაიონში შარშან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია შრომისუნარიან კოლმეურნეთა 35,7 პროცენტს. ამ მიმართულებით წელსაც არ არის დიდი გარდატეხა. ამის შედეგად კოლმეურნეობებში დაბალია მოსავლიანობა.

სამწუხაროდ, კოლმეურნეებს, რომლებიც კეთილსინდისიერად არ მუშაობენ და იმ პირებს, რომლებმაც ფაქტიურად ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს კოლმეურნეობასთან, ბევრგან აქვთ იმდენივე საკარმიდამო ნაკვეთები, რამდენიც კეთილსინდისიერ კოლმეურნეებს, სარგებლობენ ყველა შეღავათით, რაც დაწესებულია კოლმეურნეებისათვის.

იქ, სადაც მუშაობა გარდაქმნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ“ და „კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ“ საფუძველზე, შედეგიც კარგი აქვთ. მაგალითად, სოფელ ტეზრის კოლმეურნეობაში იყვნენ ისეთი კოლმეურნეები, რომლებიც გაურბოდნენ საკოლმეურნეო შრომას, გატაცებული იყვნენ მხოლოდ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე მუშაობით.

ამას წინათ არტელის წევრთა საერთო კრებამ კოლმეურნეთა კომლების საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის, რომ იმ ოჯახებს, რომლებიც არ მუშაობენ კოლმეურნეობაში ან საკმაო შრომითს მონაწილეობას არ იღებენ, დაუტოვა ნაკლები საკარმიდამო ნაკვეთი, ვიდრე იმ კოლმეურნეთა ოჯახებს, რომლებიც კეთილსინდისიერად მუშაობენ არტელში. მაგალითად, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ოდენობა კოლმეურნე კომლის პირადი სარგებლობისათვის დაწესებულია 0,25 ჰექტარიდან 0,40 ჰექტარამდე. ამით დღემდე არსებული 0,25-1 ჰექტარამდე საკარმიდამო ნაკვეთი დაიყვანეს 0,25-დან 0,40 ჰექტარამდე. გარდა ამისა, ღრმად მოხუცებს ნუშა და მიხეილ მესხიძეებს და სხვებს, რომლებიც კოლმეურნეობის აქტიური წევრები იყვნენ, საერთო კრებამ დაუნიშნა ყოველთვიური პენსია. ამასთან მათ დაუტოვა საკარმიდამო ნაკვეთი იმ ოდენობით, რამდენიც შრომისუნარიან აქტიურ წევრებს აქვთ.

ამ ღონისძიებების გატარებამ დიდად შეუწყო ხელი კოლმეურნეობის წინსვლას. ნ. მჭედლიშვილი, გ. ორჯონიკიძე, თ. ბეროზაშვილი, თ. ორჯონიკიძე და სხვები, სულ 100 კაცი, რომლებიც წინათ ზარმაცობდნენ, ახლა კოლმეურნეობაში პატიოსნად მუშაობენ. ისინი მინდვრის სამუშაოთა ყოველდღიურ ნორმას 180-250 პროცენტით ასრულებენ.

პარტიის ხაშურის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა არ უნდა დაივიწყონ, რომ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეების მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარება კი არ ამცირებს, არამედ ზრდის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობას კოლმეურნეობებში საქმის მდგომარეობისათვის. ახლა, როცა პარტიამ და მთავრობამ გადაუდებელ ამოცანად დააყენეს კოლმეურნეობათა ეკონომიურად გაძლიერება, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მოწინავეთა დონემდე აყვანა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოვითმინოთ საკოლმეურნეო ქონების განიავება, შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობა, საკოლმეურნეო შრომისათვის თავის არიდების აღმაშფოთებელი ფაქტები.

შ. ჭოჭუა,
ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ქალაქ ზუგდიდში

ახალი შენობები

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს რაიონის ცენტრის გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის. გასულ წელს დამთავრდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. დაიწყო სასტუმრო „ოდიშის“ გაფართოება. მიმდინარეობს ქალაქის ელექტრომეურნეობის რეკონსტრუქცია. წელს გათვალისწინებულია დამთავრდეს ჩაის ტექნოლოგიური ტექნიკუმის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის სამსართულიანი შენობის აგება.

ფართოვდება სავაჭრო ქსელი

მარტო ქალაქის ცენტრში 100-ზე მეტი სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტია. სტალინის ქუჩაზე ამას წინათ გაიხსნა სასაუზმე-პავილიონი. მალე საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე გაიხსნება ახალი მაღაზია კულტსაქონლისა და გალანტერიის განყოფილებებით.

კრედიტი ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს

ორსართულიან საცხოვრებელ სახლებს იშენებს 150-ზე მეტი ოჯახი. სახელმწიფო მათ დახმარებას უწევს მასალებითა და კრედიტით. წელს ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის სახელმწიფომ ორჯერ მეტი თანხა გამოჰყო, ვიდრე გასულ წელს. ბინათმშენებლებს გრძელვადიანი კრედიტის სახით უკვე მიეცათ 500 ათასი მანეთი.

ახალი შემნახველი სალარო

დღემდე ქალაქის მოსახლეობას ორი შემნახველი სალარო ემსახურებოდა, რაც მზარდ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ამ დღეებში სტალინის ქუჩაზე გაიხსნა პირველი თანრიგის შემნახველი სალარო, რომელიც მოთავსებულია კეთილმოწყობილ შენობაში.

ბოტანიკურ ბაღში

კულტურისა და დასვენების პარკს 28 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ხელოვნური ტბა კუნძულითა და ნახევარკუნძულით ქალაქის ახალგაზრდობის საყვარელ ადგილად გადაიქცა. ტბის დასავლეთით ხარობს ძვირფასი ჯიშის ხე სეკვოია-გიგანტეა, რომელიც 5 ათას წელს ცოცხლობს. ტბასთან მარადმწვანე ნარგავებში მოწყობილია პიონერთა პარკი. კულტურისა და დასვენების პარკი თავისი სილამაზით უამრავ დამსვენებელს იზიდავს.

მოსწავლეებმა ააგეს სასკოლო რადიოკვანძი

ბოლნისი. (საკ. კორ.). დაბა ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქართულ საშუალო სკოლაში პრაქტიკულად ინერგება პოლიტექნიკური სწავლება. მოსწავლეებმა სკოლაში მოაწყეს რადიოკვანძი, რომლის საშუალებით წარმოებს ახალი ამბების, მუსიკალური, მხატვრული და სხვა გადაცემები.

რადიოკვანძის აგებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა ა. ლობჟანიძემ, რ. კუზალიშვილმა, ი. მეფარიშვილმა, ჯ. ჭელიძემ, დ. ყაველაშვილმა და სხვებმა. დაბალი სიხშირის გამაძლიერებლისა და მიმღების მოწყობაში მოსწავლეებს დაეხმარა ბოლნისის რადიოკვანძის გამგე ა. ქუქჩიშვილი. კვანძის მოწყობას ხელმძღვანელობდა მასწავლებელი შ. ბაკურაძე.

ახალი სააფთიაქო მაღაზია

ქალაქ ფოთში დღითიდღე უმჯობესდება მშრომელთა სამედიცინო მომსახურება. ამ დღეებში ქალაქის ცენტრში, ჯულიაშვილის ქუჩაზე გაიხსნა ახალი სააფთიაქო მაღაზია, სადაც იყიდება ყველა სახის მზა პრეპარატები. მაღაზიასთან მუშაობს სათვალის სახელოსნო.

სააფთიაქო მაღაზია დაკომპლექტდა გამოცდილი ფარმაცევტებით. შენობის რემონტზე და შიდა მოწყობილობაზე 16 ათასი მანეთი დაიხარჯა.

ამას წინათ ნავსადგურის ტერიტორიაზე გაიხსნა ქალაქის მეორე აფთიაქი.

განზრახულია წელს ნაბადაში გავხსნათ ახალი აფთიაქი, რაც აუცილებელია სოფლის მცხოვრებთა მომსახურებისათვის.

ა. ჟანტურია,
ფოთის ცენტრალური აფთიაქის მმართველი.

ფელეტონი

მრავალჯერ შობილი

მეტად საინტერესო და უცნაური ბიოგრაფია აქვს ამჟამად თბილისის მკვიდრს ალექსანდრე მიხეილის-ძე მაისურაძეს.

ცხოვრების საკმაოდ გრძელი გზა, რომელიც მას აქვს გავლილი, ბევრ საიდუმლოებას მოიცავს. ამასთან ეს გზა ისეა მიკიბმოკიბული და დახლართული, რომ ძნელია კაცი გაერკვეს ამ ადამიანის მოღვაწეობის არა მარტო ცალკე ეპიზოდებში, არამედ იმაშიც, თუ სად იშვა ან როდის მოევლინა იგი ქვეყანას.

წერილობითი წყაროები, რომელთა დიდი ნაწილი კარგად შემონახულა და საბედნიეროდ ჩვენამდეა მოღწეული, ერთგვარ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის საქართველოს ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში უნდა იყოს დაბადებული, მხოლოდ რომელში და როდის, ეს დღემდე შეუსწავლელი იყო და ერთგვარ დავას იწვევდა.

ასეთი დაბნეულობა ამ საკითხში, როგორც ახლა ირკვევა, იმითაც ყოფილა გამოწვეული, რომ თვით ალექსანდრე მიხეილის-ძე სხვადასხვა „საქველმოქმედო“ მოსაზრებათა გამო ავტობიოგრაფიებში და მოქალაქეობრივი მდგომარეობის განმსაზღვრელ დოკუმენტებსა და წყაროებში, ცალკეულ „გულუხვ“ ადამიანთა დახმარებით, განზრახ აბნევდა კვალს თავისი დაბადების თარიღისა და ადგილსამყოფელის შესახებ. ფრიად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ალექსანდრე მიხეილის-ძე „სრულფასოვან“ არგუმენტებზე დაყრდნობით უარყოფს იმ ფაქტს, რომ ის ერთხელ არის დაბადებული.

მკითხველმა რომ ფაქტების გადმოცემისას რაიმე მიკერძოება ან ილუზიებით გატაცება არ დაგვწამოს, უმჯობესია მოვუსმინოთ თვით ალექსანდრე მიხეილის-ძე მაისურაძეს.

— მე, ალექსანდრე მიხეილის-ძე მაისურაძე, — წერს იგი, — პირველად დავიბადე ქ. ჭიათურაში 1909 წლის 31 იანვარს, ხოლო მეორედ და მესამედ კვლავ დავიბადე ძველ მესხეთში, კერძოდ ციხე საფარას მისადგომებთან ქ. ახალციხეში, ჯერ 1909 წლის 2 მარტს, შემდეგ 1905 წლის 2 მარტს. თითქოს უცნაურია ყველაფერი ეს, მაგრამ მშობლებმა მგონი ასე მითხრეს და მეც ასე მჯეროდა.

საბოლოოდ კი ნამდვილად დავიბადე, ვიმეორებ, ნამდვილად დავიბადე ქ. თბილისში ლენინის რაიონის № 2 პოლიკლინიკაში 1955 წლის 6 მაისს, აქვე მოვინათლე და ჩემმა ნათლიებმა — ექიმებმა ტ. ყირიმელაშვილმა და ვ. გიგაურმა ხაზი გადაუსვეს ჟამთა სვლის შედეგად ჩემი დაბადების აღრეულ ვარიანტებს და დაადგინეს, რომ მე ნამდვილად დაბადებული ვარ დაახლოებით 1905 წლის 2 მარტს.

ჩემს ნათქვამში, ვფიქრობ, უცნაური ან გაუგებარი არაფერია. ყოველ შემთხვევაში პირადად ჩემთვის და ჩემი ნათლიებისათვის ყველაფერი გასაგები იყო და არის. მაგრამ, უკეთ რომ განვმარტო საქმის ვითარება და ამ საკითხზე ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს მითქმამოთქმა და დავა, საჭიროდ ვთვლი ზოგი რამ საჯაროდ განვაცხადო.

ჯერ კიდევ 1950 წელს ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ შავი მეტალურგიის წარმოებაში მომუშავე ჩემი თანამდებობის იმ პირებს, რომლებსაც 20 წლის საწარმოო სტაჟი შეუსრულდათ და 50 წლის ასაკს მიაღწიეს, ენიშნებათ მოხუცებულობის პენსია იმ სატარიფო განაკვეთის 50 პროცენტის რაოდენობით, რომელსაც ისინი იღებდნენ პენსიის დანიშვნის დროისათვის.

დიახ, გავიგე ეს და მცირე ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე როგორმე მომეპოვებინა მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება. ამ მიზნის მიღწევა კი არც თუ ისე იოლი იყო. მით უმეტეს, რომ ხელთ არა მქონდა ისეთი დოკუმენტი, რომლის ძალით 50 წლის ასაკს ვიქნებოდი მიღწეული. მაგრამ ფარხმალი არ დავყარე, მთელი ენერგიით შევუდექი საქმეს.

პირველად განცხადებით მივმართე ქ. თბილისის მმაჩის საარქივო განყოფილებას და მოვითხოვე მოეცათ ჩემთვის დაბადების განმსაზღვრელი ცნობა. ჩვენს შორის დარჩეს და მე უკვე წინასწარ ვიცოდი, რომ მმაჩის თბილისის საარქივო განყოფილებაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო მასალები ჩემი დაბადების შესახებ. მე ასეთი ცნობა მესაჭიროებოდა და მივიღე კიდეც.

ეს ცნობა დაუყოვნებლივ წარვუდგინე ქ. თბილისის ლენინის რაიონის მმაჩის ბიუროს გამგეს ამხ. ო. ქაჩიბაიას, თან გადავეცი განცხადება, რათა დაენიშნათ ჩემთვის წლოვანების განმსაზღვრელი კომისია. მართალი გითხრათ, ამ მომენტში მე ძალიან ვღელავდი, სიმწრის ოფლი გადამდიოდა. ვფიქრობდი, ვაი თუ მმაჩის ბიუროს მუშაკები, კერძოდ თ. ქიტუაშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩემი საქმის გაფორმება, კრიტიკულად მომიდგნენ, ზუსტად შეისწავლონ მასალები და წლოვანების აღმდგენ კომისიაზე არ გამგზავნონ-მეთქი. ჩემს შიშს განსაკუთრებით აღრმავებდა ის გარემოება, რომ პირად საქმეში, რომელიც მმაჩის ბიუროში ჩემს შესახებ შეიქმნა, ჩაკრული იყო ავტობიოგრაფია, სადაც ვწერდი, რომ მე დაბადებული ვიყავი ქ. ახალციხეში. შიში უსაფუძვლო გამოდგა. თ. ქიტუაშვილმა წყალობის თვალით გადმომხედა. მომცეს წერილობითი მიმართვა და გასული წლის 6 მაისს გამოვცხადდი წლოვანების აღმდგენ კომისიის წევრებთან.

როგორც ზემოთ მოგახსენებდით, ჩემმა ნათლიებმა, ლენინის რაიონის № 2 პოლიკლინიკის ექიმებმა — ტ. ყირიმელაშვილმა და ვ. გიგაურმა მიმიწვიეს წლოვანების აღსადგენ სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, თვალი თვალში გამიყარეს, სახელდახელოდ აშწონ-დამწონეს, ისიც კი მკითხეს, რომელ ღვინოს უფრო ვიტანდი — იმერულსა თუ კახურს — და ერთხმად დაადგინეს, რომ მე ნამდვილად დაახლოებით 1905 წლის 2 მარტს ვიყავი დაბადებული. დადგენილება ჩემი წლოვანების აღდგენის შესახებ მყისვე მივუტანე მმაჩის ბიუროში თქვენთვის უკვე ცნობილ თ. ქიტუაშვილს, რომელმაც აღარ დააყოვნა, დაბადების მოწმობა გამიმზადა და საზეიმო ვითარებაში ჩამაბარა.

ამით, რა თქმა უნდა, ძირითადად ყველაფერი გათავდა. მიზანი მიღწეული იყო, თბილისის გარეუბნის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ წარდგენილი საბუთების გადასინჯვის შემდეგ მე, ალექსანდრე მიხეილის-ძე მაისურაძეს, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის საყალიბო საამქროს უფროსს, 1955 წლის 24 მაისიდან დამინიშნა მოხუცებულობის პენსია, თვიურად 650 მანეთის ოდენობით.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც ისეა საქმე, რომ ვინმემ მოხუცება დამწამოს, იფიქროს, რომ მე 50 წელს გადავაბიჯე და დავბერდი, წლოვანება მომიმატეს არა იმიტომ, რომ მოვხუცდი, არამედ იმისათვის, რომ პენსია მიმეღო. მე კვლავ ბრგე, ჭარმაგი კაცი ვარ, რა დროს მოხუცებაა!

გვჯერა ეს ყველაფერი, ჩემო ალექსანდრე, მაგრამ ისიც ვიცით, რომ პენსიის მიღების მიზნით წლოვანების მომატება სისხლის სამართლის დანაშაულია.

ქ. სიხარულიძე.

სტავროპოლის მხარე. მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობას ემსახურება პრივოლნოეს მტს-ი, რომლის მექანიზატორები აქტიურად იბრძვიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. მექანიზატორების დახმარებით მონტირებულია ავტოსარწყულებლები სარძეო-სასაქონლო ფერმის სამ სადგომში. ამას წინათ მექანიზატორებმა ძველი ცისტერნისაგან დაამზადეს და კოლმეურნეობას გადასცეს მოძრავი ავტოსარწყულებელი, რომელიც ორ ტონა წყალს იტევს. მექანიზატორების მიერ კოლმეურნეებთან ერთად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად თვითეული ძროხის წველადობამ შვიდ თვეში 1.360 ლიტრი შეადგინა.

სურათზე: მოძრავი ავტოსარწყულებელი მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის საზაფხულო საძოვარზე.

ფოტო ვ. მიხალევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ახალი ტურისტული სეზონი

საქართველოს ულამაზესი ბუნება მრავალ ტურისტს იზიდავს. შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა კავშირის ტურისტული მარშრუტების მეექვსედზე მეტი საქართველოზე მოდის. ჩვენს რესპუბლიკაში სისტემატურად ჩამოდიან ტურისტები და მოგზაურები როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთიდანაც. ისინი დიდი ინტერესით ეცნობიან საქართველოს მდიდარ ბუნებას, კულტურულ-ისტორიულ ადგილებს, ბუნებრივ სიმდიდრეს, სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მოპოვებულ უდიდეს მიღწევებს.

ტურისტებისა და ექსკურსანტების ნორმალური მომსახურებისათვის საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს აქვს 15 ტურისტული და 1 საექსკურსიო ბაზა, 10 ფილიალი. ისინი განლაგებული არიან რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეში და მომსახურებას უწევენ საკავშირო მნიშვნელობის 16 მარშრუტს.

სამმართველომ სერიოზული მუშაობა გასწია იმისათვის, რომ მომზადებული შეხვედროდა ახალ ტურისტულ სეზონს. წელს გაიხსნება სამი ახალი მარშრუტი და ახალი ტურისტული ბაზები.

წელს რესპუბლიკაში პირველმა გააღო თავისი კარი სოხუმის ტურისტულმა ბაზამ. ეს ბაზა უდიდესია რესპუბლიკაში. იგი ერთდროულად მომსახურებას უწევს 400 კაცს. აქ თავს იყრის ექვსი მარშრუტი. სოხუმის ტურისტული ბაზის პირველ სტუმართა შორის იყვნენ იაროსლაველი მზარეული გალინა ტიტოვა, მოსკოველი წერილების დამხარისხებელი ტატიანა ლუდიანოვა, ტულელი ინჟინერი დიმიტრი სმირნოვი, კალინინგრადელი საქონელმცოდნე ლიუბა დანილიუკი და სხვები.

30 და 31 მაისს თბილისის ტურბაზამ მიიღო № 45 და № 61 მარშრუტის ტურისტთა პირველი ჯგუფები. ამ ჯგუფებში იყვნენ მოწინავე ადამიანები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, რიგიდან, ტალინიდან, მურმანსკიდან, ორიოლიდან, სტავროპოლიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან და კუთხეებიდან. სტუმრებმა დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ისტორიული ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ნახეს საქართველოს მხატვრების 1955 წლის ნამუშევართა გამოფენა, იყვნენ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში. თბილისში ორი დღის ყოფნის შემდეგ ისინი გორში გავლით გაემგზავრნენ კურორტ გაგრაში, სადაც 6 დღე დარჩნენ და ამით დაამთავრეს მოგზაურობა. თბილისიდან გამგზავრების წინ შთაბეჭდილების წიგნში დიდი მადლობა და კმაყოფილების გამომხატველი სტრიქონები ჩაწერეს იმ გულთბილი და გულისხმიერი მიღებისათვის, რაც მათ თბილისის ტურბაზამ გაუწია.

სტუმართმოყვარულად შეხვდნენ ტურისტებს მწვანე კონცხის, ახალი ათონის, ბათუმის და გორის ტურბაზები.

წელს გარდა ბორჯომისა, ახალი 100-საწოლიანი ტურისტული ბაზა გაიხსნა ბიჭვინთაში (აფხაზეთი). ამ ბაზამ 18 მაისს მიიღო ტურისტთა პირველი ნაკადი.

მიმდინარე წლის სეზონისათვის ტურისტული ბაზები კარგად მოემზადნენ, ბაზების შენობები კაპიტალურად შეკეთდა, შეივსო ახალი ინვენტარით, წიგნებით, შერჩეულია ექსკურსიამძღოლთა და კულტმუშაკთა კვალიფიციური კადრები. მოეწყო ტურისტთა კაბინეტები, ახალი სტენდები, რომლებზეც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალები და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებლები — ფოტოსურათებითა და დიაგრამებით.

ბაზებში შექმნილია ყველა პირობა ჩამოსულთა კულტურული დასვენებისა და გართობისათვის, სისტემატურად ეწყობა მოხსენებები, ლექციები, საუბრები, კოლექტიური სვლა თეატრებში, კინოებსა და სპორტულ შეჯიბრებებზე.

ტურისტების განკარგულებაშია 30-ზე მეტი კომფორტაბელური ავტობუსი.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც. წელს შემუშავდა ახალი ტურისტული მარშრუტი კახეთში. მომავალი წლიდან ტურისტებს საშუალება ექნებათ გაიცნონ საქართველოს ეს კუთხე, მისი მდიდარი წარსული, ისტორიული ადგილები, ღირსშესანიშნაობანი, მისი შესანიშნავი ბუნება. ახალი ტურისტული მარშრუტის გახსნასთან დაკავშირებით კახეთში აშენდება რამდენიმე ტურბაზა.

მომავალი წლისათვის გათვალისწინებულია მოეწყოს სამი ახალი ტურისტული ბაზა — ქობულეთში, გუდაუთასა და მიუსერაში. წელს დაიწყება მშენებლობა ახალი ტურისტული ბაზისა ქალაქ გორში 100 საწოლით. ამ საქმისათვის გადადებულია მილიონ-ნახევარი მანეთი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია გაგრის ტურბაზის მეორე საწოლი კორპუსისა და კულტპავილიონის მშენებლობა. საამისოდ ასიგნებულია 440 ათასი მანეთი. მწვანე კონცხზე კარვის ბანაკები შეიცვლება სტანდარტული სახლებით, რაზეც 150 ათასი მანეთი დაიხარჯება. გათვალისწინებულია ბიჭვინთისა და ბორჯომის ტურისტული ბაზების გაფართოება.

იმ ტურისტებისათვის, რომლებიც თავიანთი ავტომანქანებით მოგზაურობენ, შავი ზღვის სანაპიროზე მუშაობს ექვსი პანსიონატი. ისინი ერთდროულად მომსახურებას უწევენ 1.000 ტურისტ-მოგზაურს. პანსიონატებს აქვთ კეთილმოწყობილი სასტუმროები, ბენზინის ჩასასხმელი და ავტომანქანების შესაკეთებელი ბაზები, ავტომანქანების სადგომები.

წელს საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს ტურისტული ბაზები და სოხუმის საექსკურსიო ბაზა მომსახურებას გაუწევენ 350 ათას ტურისტსა და ექსკურსანტს.

ა. ჯანჯღავა,
საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების გამო

პეკინი, 13 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ გამოაქვეყნა განცხადება ჩინეთისა და ამერიკის ელჩებს შორის წარმოებული მოლაპარაკების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია:

ჩინეთისა და ამერიკის ელჩებს შორის წარმოებულ მოლაპარაკებაში ჩინეთის მხარე განუხრელად იცავს იმ აზრს, რომ ამ მოლაპარაკებას უნდა მოჰკვეს ჩინეთისა და შეერთებულ შტატებს შორის დავის მშვიდობიანი მოწესრიგება და მოლაპარაკების დროს უშინარეს ყოვლისა, უნდა გამოინახოს ტაივანის რაიონში დაძაბულობის შენელებისა და აღმოფხვრის პრაქტიკულად ხელმისაწვდომი საშუალებანი. ამ მიზნის მიღწევისათვის ჩინეთის მხარე ყოველ ღონეს ხმარობს და პირველ ეტაპზე წამოაყენა კეთილგონივრული წინადადება — მოეწყოს ჩინეთ-ამერიკის თათბირი მაღალ დონეზე საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით. მაგრამ ამერიკის მხარე დაჟინებით მოითხოვს, რომ ჩინეთი დაეთანხმოს შეერთებული შტატების ახლანდელ ჩარევას ჩინეთის საშინაო საქმეებში და მათ მიერ ტაივანის ოკუპაციას, და უარს ამბობს დაიკავოს პოზიტიური პოზიცია საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით ჩინეთ-ამერიკის თათბირის მოწვევის საკითხში.

1956 წლის 19 აპრილს ამერიკის მხარემ ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების დროს წარადგინა შეთანხმებული განცხადების პროექტი, რომელშიც ნათქვამია:

„ელჩი ალექსის ჯონსონი, მოქმედებს რა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით, და ელჩი ვან ბინ-ნანი. მოქმედებს რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით, შეთანხმდნენ, ისე რომ ზიანი არ მიაყენონ თვითეული მხარის პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება მშვიდობიანი საშუალებებით, ან თვითეული მხარის ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლებას, განაცხადონ შემდეგი:

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გადაწყვიტეს, რომ მათ უნდა გადაჭრან თავიანთი დავა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, ამასთან არ მიმართონ ძალის გამოყენების მუქარას ან ძალის გამოყენებას ტაივანის რაიონში ან სხვა ადგილებში.

ორივე ელჩმა უნდა განაგრძოს მოლაპარაკება, რათა გამონახონ ამ საერთო მისწრაფების განხორციელების პრაქტიკულად ხელმისაწვდომი საშუალებანი“.

ამ პროექტში შეერთებული შტატები ჩინეთისაგან თანხმობას ასეთ განცხადებაზე, რათა შეინარჩუნოს სტატუს-კვო ტაივანის რაიონში, განუსაზღვრელი დროით გადადოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევა და უარი თქვას მშვიდობიან მოლაპარაკებაზე, რომელიც აუცილებელია ტაივანის რაიონში ჩინეთისა და შეერთებული შტატების დავის მოწესრიგებისათვის, იმ ვარაუდით, რომ კვლავაც განაგრძოს ტაივანის ოკუპაცია და ჩაერიოს ჩინეთის მიერ სანაპირო კუნძულების განთავისუფლებაში. ცხადია, რომ ეს სრულიადაც არ არის განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს ჩინეთისა და შეერთებული შტატების დავის მშვიდობიან მოწესრიგებას ძალის გამოუყენებლად, არამედ არის განცხადება, რომელიც მოითხოვს, რომ ჩინეთი დაეთანხმოს ამერიკის აგრესიას. ამაზე ჩინეთის მხარე, რა თქმა უნდა, ვერ დათანხმდება.

მაგრამ, მხედველობაში მიიღო რა ამერიკის მხარის არაერთგზისი თხოვნა, რომ ორი მხარის განცხადება აშკარად შეეფარდებოდეს ტაივანის რაიონს, ჩინეთის მხარემ იხმარა ახალი ღონისძიებანი და 1956 წლის 11 მაისს წამოაყენა შეთანხმებული განცხადების შემდეგი პროექტი:

„ელჩი ვან ბინ-ნანი, მოქმედებს რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით, და ელჩი ალექსის ჯონსონი, მოქმედებს რა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით, შეთანხმდნენ, ისე რომ ზიანი არ მიაყენონ ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს, განაცხადონ შემდეგი:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს, რომ მათ უნდა მოაწესრიგონ თავიანთი დავა ტაივანის რაიონში მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, ამასთან არ მიმართონ ძალის გამოყენების მუქარას ან ძალის გამოყენებას ერთმანეთის წინააღმდეგ;

ორივე ელჩმა უნდა განაგრძოს მოლაპარაკება, რათა გამონახონ და განსაზღვრონ ორი თვის განმავლობაში ამ საერთო მისწრაფების განხორციელების პრაქტიკულად ხელმისაწვდომი საშუალებანი, მათ შორის ჩინეთ-ამერიკის თათბირის მოწვევა საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით, ავრეთვე დადონ კონკრეტული შეთანხმებანი“.

ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ შეერთებულმა შტატებმა უკვე მოახდინეს ჩინეთის ტერიტორია ტაივანის ოკუპაცია ძალის საშუალებით და ძალის გამოყენების მუქარით, ჩინეთის მხარეს მიაჩნია, რომ თუ, როგორც ამას ამერიკის მხარე მოითხოვს, ორ ქვეყანას შორის დავის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, ძალის მუქარის გამოუყენებლად ან ძალის გამოუყენებლად, მოწესრიგდა ბის პრინციპი კონკრეტულად უნდა შეეფარდოს ტაივანის რაიონს, ამ შემთხვევაში საჭიროა აგრეთვე ნათლად და გარკვევით გავითვალისწინოთ ტაივანის რაიონში დაძაბულობის საკითხის მოწესრიგების საშუალებათა გამონახვა და განსაზღვრა. მხოლოდ ამრიგად შეეძლებთ უზრუნველვყოთ, რომ ჩინეთისა და ამერიკის ელჩების მოლაპარაკება არ გაჭიანურდეს განუსაზღვრელი დროით და მივაღწიოთ ტაივანის რაიონში დაძაბულობის საკითხის მოწესრიგებას. ამიტომ განცხადების პროექტში, რომელიც ჩინეთის მხარემ წამოაყენა, გათვალისწინებულია, რომ ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ორი თვის განმავლობაში ჩინეთისა და ამერიკის ელჩებმა მოლაპარაკების დროს უნდა გამონახონ და განსაზღვრონ პრაქტიკულად ხელმისაწვდომი საშუალებანი, მათ შორის ჩინეთ-ამერიკის თათბირის მოწვევა საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით, და დადონ კონკრეტული შეთანხმებანი.

ჩინეთის მხარე მტკიცედ იცავს იმ აზრს, რომ თუ ამერიკის მხარე გულწრფელად ცდილობს მშვიდობიანად მოწესრიგდეს ჩინეთისა და შეერთებულ შტატებს შორის დავა ტაივანის რაიონში, მას არა აქვს არავითარი საფუძველი შემდგომ გააჭიანუროს მოლაპარაკება, არ შეგვითანხმდეს ჩინეთის მხარის განცხადების ამ პროექტის გამო. მთელი მსოფლიოს ხალხები გამოთქვამენ მხურვალე იმედს, რომ დაძაბულობა ტაივანის რაიონში აღმოიფხვრება; ისინი შეშფოთებას იჩენენ იმ გარდუვალი შედეგების გამო, რომლებიც მოჰყვება იმას, რომ ჩინეთისა და ამერიკის ელჩებმა ასე დიდხანს ვერ მიაღწიეს შეთანხმებას მოლაპარაკებაში. ამიტომ ჩინეთის მხარეს საჭიროდ მიაჩნია გააცნოს ზემოაღნიშნული ფაქტები მთელ მსოფლიოს.

მოსკოვში ჩამოვიდა ბრიუსელის მსოფლიო გამოფენის გენერალური კომისარი მუნს დე ფერნიგი

11 ივნისს ღამით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა ბრიუსელის 1958 წლის მსოფლიო გამოფენის გენერალური კომისარი ბარონი მუნს დე ფერნიგი, ბელგიის საგარეო ვაჭრობის ყოფილი მინისტრი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ბელგიელ სტუმარს შეხვდნენ სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტერიანი, სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის წევრი ა. ვ. საგი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელი ი. მ. მარტინოვი, აგრეთვე ბელგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ლორიდანი და საელჩოს თანამშრომლები. (საკდესი).

„საბჭოთა კავშირი პრაქტიკულად შეუდგა განიარაღებას“

დელი, 12 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი“ წერს, რომ, დელის ოფიციალური წრეების აზრით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილები დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებისადმი შეიარაღების შემცირების შესახებ „დიდ ინტერესს“ წარმოადგენენ, რამდენადაც ამ წერილებს შეუძლიათ „ახალი სიცოცხლე შთაბერონ“ მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ. საბჭოთა კავშირის მოწოდება დასავლეთისადმი გერმანიაში შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, აღნიშნავენ ამ წრეებში, სერიოზული განხილვის ღირსია, რამდენადაც ამ მოწოდებას როგორც „პირველი ნაბიჯი“ წინ უძღოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განლაგებული 30 ათასი ჯარისკაცის ცალმხრივი დემობილიზაცია.

ინდოეთში კმაყოფილებით ხვდებიან ყოველ ღონისძიებას, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, განგრძობს გაზეთი. წერილები მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირი პრაქტიკულად შეუდგა განიარაღებას, და ამას განმარტავენ როგორც წვლილს განიარაღებისა და საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. პოლიტიკური წრეებში მიაჩნიათ, რომ სსრ სახელმწიფოებმაც უნდა განახორციელონ ცალმხრივი კონსტრუქციული ღონისძიებანი ამ საკითხში და, ამრიგად, ხელი შეუწყონ იმას, რომ შეიქმნას განიარაღების პრობლემის გადაჭრისათვის ხელსაყრელი ატმოსფერო.

გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ მოწონებულ სტატიაში, ეხება რა განიარაღების საკითხის გადაჭრის გზაზე არსებულ სიძნელეებს, წერს: „როგორც ჩანს, ჭეშმარიტება ის არის, რომ დასავლეთს არა სურს განიარაღება, რადგან ეშინია, რომ განიარაღება იმის მომასწავებელი იქნება, რომ დასავლეთმა აღიაროს რუსეთის კეთილი განზრახვების გულწრფელობა, რაც შეუთავსებელი იქნება გერმანიის ხელახლა შეიარაღების მოთხოვნასთან და ისეთი პოლიტიკურ-სამხედრო სეპარატული ორგანიზაციების შენარჩუნებასთან, როგორიც არიან ნატო და სეატო, ავრეთვე სამხედრო ბაზების შენარჩუნებასთან საზღვარგარეთ. ეს საბოლოოდ არევდა დასავლეთის მთელ გლობალურ სტრატეგიას“.

„დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკისათვის“

გერმანიის კომპარტიის გამგეობის 24-ე პლენუმის კომუნიკე

ბონი, 12 ივნისი. (საკდესი). გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „ფრაიეს ფოლგმა“ გამოაქვეყნა კომუნიკე გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის პლენუმის შესახებ, რომელიც გაიმართა 1956 წლის 9-10 ივნისს.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ გერმანიის კომპარტიის გამგეობის პირველმა მდივანმა მაქს რაიმანმა პლენუმზე გააკეთა მოხსენება: „დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკისათვის“.

გამგეობამ, ნათქვამია კომუნიკეში, მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის კომპარტიის ძირითადი პოლიტიკური ხაზის შესახებ ბუნდესტაგის მომავალი არჩევნების პერიოდში. გერმანიის კომპარტია წინასაარჩევნო ბრძოლაში მოითხოვს, რომ ფედერაციულმა რესპუბლიკამ განახორციელოს მშვიდობისა და განიარაღების პოლიტიკა, ეროვნული შეთანხმებისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკა იმ მიზნით, რომ დასავლეთ გერმანიას შეეძლოს მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში და დაადგეს ხალხის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებათა აღდგენის გზას, გერმანიის სოციალური პროგრესისა და გაერთიანების გზას.

გერმანიის კომპარტია, აღნიშნულია კომუნიკეში, თავის პოლიტიკასა და თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს მუშათა კლასის ერთიანობისადმი მისწრაფებით. ერთსულოვნად მოქმედ მუშათა კლასს გლეხობასთან და გერმანელი ხალხის სხვა დემოკრატიულ ძალებთან კავშირში შეუძლია განახორციელოს მობრუნება დასავლეთ გერმანიის პოლიტიკაში.

როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, ზერმანიის კომპარტიის გამგეობის პლენუმმა მიიღო მოწოდება ლოზუნგით: „არ დაეშვათ სამხედრო ბეგრის შემოღება!“. ამ მოწოდებაში გერმანიის კომპარტიის გამგეობა მიმართავს მოსახლეობას, ყველა პარტიასა და ორგანიზაციას წინადადებით მოაწყონ სახალხო კენჭისყრა საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღების საკითხზე.

კომუნიკეს დასასრულს ნათქვამია, რომ გერმანიის კომპარტიის გამგეობის პლენუმმა დაამტკიცა ტექსტი განცხადებისა „ადენაუერის საარის შეთანხმებანი შეუთავსებელია გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებთან“ და სოლიდარობა გამოუცხადა დასავლეთ გერმანიის საპყრობილეებში დაპატიმრებულ კომპარტიის წევრებს.

კანონი ეგვიპტის ეროვნული კრების შესახებ

კაირო, 12 ივნისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ეგვიპტის მინისტრთა საბჭომ მიიღო კანონი ეროვნული კრების შესახებ, რომლის დაარსება გათვალისწინებულია ეგვიპტის ახალი კონსტიტუციით, რომელიც მოწონებულ უნდა იქნას 23 ივნისის პლებისციტის დროს. მიღებული კანონის მიხედვით ეროვნულ კრებას ეყოლება ფარული კენჭისყრით არჩეული 350 წევრი. ეროვნული კრების წევრი შეიძლება იყოს ეგვიპტელი, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი და იცის წერა-კითხვა.

ეროვნული კრების წევრობის კანდიდატად დასახელების შესახებ განცხადება წერილობით შეაქვს თვითონ კანდიდატს. განცხადების შეტანისას შეაქვთ საწინდარი. თავიანთ კანდიდატურას ვერ დასახელებენ ყოფილი მეფის გვარეულობის წევრები, აგრეთვე მოსამართლეები, პროკურორები, აგრეთვე არმიისა და პოლიციის ოფიცრები და სერჟანტები, სანამ ისინი არ გადადგებიან.

არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მიიღო ყველა ხმის სულ ცოტა ნახევარი. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, კენჭისყრა ხუთი დღის შემდეგ გამეორდება, მაგრამ სიაში რჩება მხოლოდ ორი კანდიდატი, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს.

როგორც გაზეთი „აშ-შაბაბ“ იუწყება, ეროვნული კრების არჩევნები გაიმართება მომდინარე წლის ოქტომბერში.



თბილისი. ახალი საცხოვრებელი სახლი საწარმო კოოპერაციის დამზღვევ სალაროთა კავშირის მუშა-მოსამსახურეებისათვის ხაბურთალზე.

ფოტო გ. გოგობიასი.

საერთაშორისო შეხვედრა

ლენინგრადი. 13 ივნისი. დღეს აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში თურქეთის კლუბის „ფენერბახჩესა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის. შეჯიბრება დამთავრდა თურქეთის გუნდის გამარჯვებით 2:1.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 13 ივნისი. დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე შედგა XVIII საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვისა და კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

სასამართლო დარბაზიდან

მძარცველი დაისაჯა

მოქალაქე ც-ი შუაღამისას საეკვო ხმაურმა გამოაღვიძა. ოთახში ვიღაცეები დაბორიალობდნენ...

„ქურდები“, — გაუელვა ც-ს და შიშმა შეიპყრო.

სიბნელეში შეუძლებელი იყო ბოროტმოქმედთა სახეების გარჩევა...

ც-მ ყვირილი დაიბარა, მაგრამ ერთი მათგანი მიეჯრა ძასთან და რევოლვერით დაემუქრა:

— კრინტი არ დაძრა, თორემ აქვე გაგათავებ!

მძარცველებმა „მოასუფთავეს“ ც-ის ბინა, გაიტაცეს 70 ათასი მანეთის ღირებულების ნივთები და მიიმალნენ.

მალე მილიციის მუშაკებმა დააკავეს ერთი მათგანი... ეს იყო ვინმე ხაჩიკ კარაპეტის-ძე ბულუდიანი.

ბულუდიანი არაერთხელ იყო გასამართლებული ქურდობისათვის.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ ყაჩაღს მიუსაჯა 20 წლის პატიმრობა შრომაგასწორებით ბინაში მოთავსებით, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლის ვადით საარჩევნო უფლების შეზღუდვა.

ა. ლელუაშვილი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურციკიძე.

სსრ კავშირმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ, კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას თევზის მეურნეობის კვლევის შესახებ წყნარი ოკეანის რაიონში

პეკინი, 12 ივნისი. (საკდესი). 1956 წლის 12 ივნისს პეკინში დამთავრდა სსრ კავშირის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების თათბირი თევზის მეურნეობის კვლევის შესახებ და ხელმოწერილ იქნა „შეთანხმება წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში თევზის მეურნეობის ოკეანოლოგიური, ლიმნოლოგიური კვლევის მოწყობაში თანამშრომლობის შესახებ“. გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ თათბირმა, რომელიც სრული ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა, დაწვრილებით განიხილა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია თევზის მეურნეობის მეცნიერული და ოკეანოლოგიური კვლევის ერთობლივ განხორციელებასთან იაპონიის, ყვითელ, აღმოსავლეთ ჩინეთის, სამხრეთ ჩინეთის ზღვებში და წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, რომელიც აკრავს ზემოაღნიშნულ ზღვებს, აგრეთვე ხსენებული ქვეყნების სასაზღვრო მდინარეებსა და ტბებში.

დელეგაციებმა ერთსულოვნად აღიარეს, რომ ამ მეცნიერული კვლევის კოორდინაცია და მის განხორციელებაში ურთიერთდახმარება ხელს შეუწყობს თევზჭერის მეცნიერული საფუძვლების შემდგომ დამუშავებას და თევზნისა და სხვა სარეწავი ობიექტების ინტენსიურ კვლავწარმოებას ხსენებულ რაიონში იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მყარი, მაქსიმალური თევზჭერა.

საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის გაფართოებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ხელშეკრულების დამდები მხარეები მიესალმებიან ამ ხელშეკრულებაში წყნარი ოკეანის დასავლეთი ნაწილის სხვა ქვეყნების მონაწილეობას და მზად არიან მოეთათბირონ ასეთ ქვეყნებს.

კინო

რომში, ესპანეთის მოედანზე...

უბრალოებით და გულწრფელობით, რიგითი ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულით და კეთილშობილურ ადამიანურ გრძნობათა ფაქიზ პატივისცემით გვბიძგებს და გვაღელვებს საერთოდ—პროგრესული ნეორეალისტური იტალიური კინოფილმები, კერძოდ — ახალი იტალიური კინოფილმი — „ქალიშვილები ესპანეთის მოედნიდან“.

თუ დაკვირვებული თვალით არ უყურებთ ამ ახალ იტალიურ ფილმს, შეიძლება ის ერთი შეხედვით ცოტათი მსუბუქ, ცოტათი ბანალურ და ოდნავ ტრივიალურ ფილმადაც კი მოგეჩვენოთ. ეს იმიტომ, რომ მასში ყოველგვარი იაფფასიანი სენსაციურობისა და ეფექტიანი ეგზოტიკურობის გარეშე ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია გადმოცემული: მზიური იტალიაში, მის მომხიბლავ დედაქალაქ რომში არის უმშვენიერესი მოედანი, რომელსაც ესპანეთის მოედანი ეწოდება. ამ მოედანთან ახლოს მდებარე მოდების ატელიეში მუშაობს სამი მეგობარი ქალიშვილი — მარიზა, ელენე და ლუჩია, რომლებიც სამუშაოსგან თავისუფალ დროს იკრიბებიან მოედანზე განიერი კიბის საფეხურებზე, რათა თავიანთ პირად საქმეებზე ილაპარაკონ ან ისაუზმონ. მიუხედავად იმისა, რომ მარიზას, ელენეს და ლუჩიას ერთმანეთისგან განსხვავებული გარეგნობა, ხასიათი და გემოვნება აქვთ, მათ შორის ბევრი რამ საერთოა, რაც ქალიშვილებს ხანგრძლივი მეგობრობით აკავშირებს: სამივე უბრალო, ღარიბული წრიდან არის, სამივე რომის ცენტრალური არისტოკრატიული კვარტალებისაგან მოშორებით ცხოვრობს და, რაც მთავარია, სამივეს ერთი დიდი ბუნებრივი და ადამიანური სურვილი ამოძრავებს — იპოვონ ცხოვრებაში პირადი ბედნიერება და სიყვარული...

მაგრამ ცხოვრება ყოველთვის როდი ანებივრებს ლამაზი ოცნებებისა და რომანტიული ილუზიების მქონე ქალიშვილებს: ისინი უმეტეს დროს ატელიეში ატარებენ და ანცგამომლევი შრომით ირჩენენ თავს და არჩენენ მშობლებსა და მრავალრიცხოვან და-ძმებს. სამიჯნურო „ფრონტზეც“ მათ ბევრი უსიამოვნების გადატანა უწდებათ: ტანაშოლილ და მომხიბლავ მარიზას მანეკენად გადაიყვანენ, რაც ძლიერ არ მოსწონს მის შეყვარებულს — სამრეცხაოს ავტომანქანის შოფერს აუგუსტოს, რომელიც თვლის, რომ მანეკენობა წესიერი გოგონასთვის შეუფერებელია. მეორე მეგობარს ლუჩიას დიდიხანია უყვარს ეოკეი ბამლეტი, მაგრამ მაინც არ უნდა გაჰყვეს ცოლად, ვინაიდან ძლიერ დაბალია და ამიტომ მხოლოდ ტანადი კავალრების საზოგადოებაში ატარებს დროს. რაც შეეხება მესამე მეგობარს — ელენეს, მას უყვარს კანტორის მოსამსახურე ალბერტო, მაგრამ ვინაიდან ალბერტოს ხურს შეირთოს მხოლოდ მდიდარი ქალი, რომელიც მას კომფორტით აცხოვრებს და კარიერის მიღწევაში დაეხმარება, ის ღალატობს ერთგულ ელენეს და უახლოვდება თავისი უფროსის ქალიშვილს.

ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ ფილმის რეჟისორი ლუჩანო ემერი მიზნად არ ისახავს არავითარი დიდი სოციალური პრობლემის



კადრი ფილმიდან „ქალიშვილები ესპანეთის მოედნიდან“.

დასმას და მით უმეტეს მის გადაწყვეტას. მას სურს მხოლოდ, როგორც ეს ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ყანრის კინოფილმშია შესაძლებელი, სრულიად შეუფერადებლად გადაგვშალოს თვალწინ სამი რომაელი ქალიშვილის — მოდის ატელიეს უბრალო მკერავების ყოველდღიური ცხოვრება. მართალია, ეს სამყარო ფართო არ არის და შეზღუდულია პირადი ცხოვრების ვიწრო ჩარჩოებით, მაგრამ ფილმის მთავარი როლების შემსრულებლების ლუჩია ბოზეს (მარიზა), ლილიანა ბონფატის (ელენე) და კოზეტა გრეკოს (ლუჩია) სახახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შექმნეს დამაჯერებელი მხატვრული სახეები ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათისა და გემოვნების მქონე იტალიელი ქალიშვილებისა, რომელთა ბედი დამახასიათებელია მილიონნობით უბრალო იტალიელი ქალიშვილისათვის.